

# ხობის მოამბე

№6 (7146)
25 მაისი, ოთხშაბათი.
2022 წელი.
ფასი 0,70 ლარი

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

## 26 მაისი–საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
## გილოცავთ!



ჩვენი ქვეყნის ისტორიას თვალს თუ გადავავლებთ, ნათლად დავინახავთ უმთავრეს იდეას, რომელიც არსებობის ყველა ეტაპზე აერთიანებდა მთელ ერს–თავისუფლება. მაშინაც კი, როცა დამოუკიდებლობა შორეულ, მიუწვდომელ მოცემულობად წარმოგვედგინა, ჩვენი წინაპრები, რომელთაც კარგად ესმოდათ თავისუფლების მნიშვნელობა, საკუთარი სიცოცხლის ფასად, იცავდნენ ამ იდეას და გადასცემდნენ მომავალ თაობებს.

სწორედ მათი რწმენისა და თავდადების დამსახურებით, 1918 წლის 26 მაისს საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პირველმა რესპუბლიკამ მხოლოდ სამ წელს იარსება, საერთო იდეის ირგვლივ გაერთიანებული ქართველი ერის წყალობით, იგი დაედო მყარ საფუძვლად 1991 წელს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და მის გულშემატკივარს, გილოცავთ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს, რამეთუ „საქართველო იშვა 26 მაისს, იშვა თავის ქვეყანაში, იშვა მსოფლიოში ნაციონალურად, ინტერნაციონალურად.“

მჯერა, რომ სამშობლოს სიყვარულით, თანადგომითა და ერთიანობით, ჩვენ აუცილებლად ვიცხოვრებთ კიდევ უფრო ძლიერ საქართველოში, სადაც ძველებური თავდადებით უერთგულებენ წინაპართაგან დატოვებულ თავისუფლების იდეას.

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! ეს დღე ჩვენია!

***დავით ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერი.***



ძვირფასო ხობელებო, თანამოქალაქენო! გილოცავთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს–26 მაისს! ეს დღე ძვირფასია ყოველი ქართველისთვის და მას მუდამ აღვნიშნავთ უდიდესი პატივითა და სიამაყით, მაგრამ დღევანდელობას ახლავს უდიდესი განსაცდელი და პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ერის წინაშე, ვინაიდან საქართველო, რომლის ისტორია, გარეშე მტრებისგან თავდასხმებისა და სამშობლოს მიწა-წყლის დაცვისთვის გმირული ბრძოლების ეპოპეაა, 21-ე საუკუნის თავისუფალ და ცივილურ სამყაროში, ისევ ტერიტორიებწართმეული, აგრესორის მიერ ოკუპირებული ქვეყანაა და ვდგავართ უმძიმესი გამოწვევების წინაშე. ჩვენი თაობის ვალდებულებაა ყოველივე ამის ღირსეული გადალახვა და ჩვენი სახელოვანი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი მიზნის მიღწევა.

დღეს, როცა იცვლება გეოპოლიტიკური სივრცე და ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, საქართველოს ადგილი ცივილიზებული სამყაროს გვერდითაა. აქაა ქვეყნის გადარჩენისა და ჩვენი ისტორიული იდეალების–დამოუკიდებლობისა და განვითარების შესაძლებლობა. ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ, ქართველი ხალხის ერთობით და მსოფლიო თანამეგობრობის თანადგომით, საქართველო აუცილებლად დაიკავებს თავის კუთვნილ ღირსეულ ადგილს თანამედროვე თავისუფალ მსოფლიოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღს, სიმბოლურად და განგების ნებით, ემთხვევა ეროვნული გმირის, ერის სინდისად აღიარებული მერაბ კოსტავას დაბადების დღე. ყოველ ამ დღეს, ალბათ, მერაბის რაინდული სული ზეციური საქართველოდან თავისი საყვარელი მოწოდებით გვეხმიანება–“გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ჩვენთან არს ღმერთი! არს და იქნება!“

***ლევანი ქავთარაძე,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.***

## 26 მაისს მერაბ კოსტავა დაბადებულა...



*„ჭეშმარიტი ქრისტიანი და ჩვენი მომავლიდან მოვლენილი ქართველი–აი, ვინაა მერაბ კოსტავა.*

*უბრალოა მისი სიმტკიცისა და შეუდრეკელობის საიდუმლო: სწამს, რომ ღვთის ნებაა საქართველოს თავისუფლება.*

*სწორედ ესაა რწმენა ჭეშმარიტი:*

*ერთ ერად ქცეული–რწმენა ღვთისა და რწმენა თავისუფლებისა.“*

***ზურაბ კეტრიაშვილი***

## 26 მაისი – დღე თავისუფლებისა!

3გვ.

## ხმა საგანმურიდან

4გვ.

## უფალთან წილნაყარი ქართული პოეზიის საღამო

5გვ.

## „სოფლის მოსახლეობა მეტს იმსახურებს“

6გვ.

# წარსულის პატივისცემით, მომავლის იმედით...

26 მაისი, დამოუკიდებლობის დღე, ყველას გილოცავთ ამ ღირშესანიშნავ თარიღს, ჩვენთვის, პატარა ერისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისუფლება, ჩვენი იდენტობის, ისტორიის და გენის შესანარჩუნებლად.

მოკლედ იმის შესახებ, როგორ აღნიშნავს ამ ყველასთვის სანუკვარ დღეს ჩვენი მრავალდარგობრივი და მრავალრიცხოვანი სამსახური.



გათვალისწინებით შედგა არაერთი სასიამოვნო ღონისძიება. მასშტაბურად აღინიშნა ქართული ენის დღე, ეროვნული სამოსის დღე, დედამიწის დღეები, ღამე მუზეუმში, აქტიურად მიმდინარეობს შიდა ღონისძიებები სტრუქტურულ ერთეულებში.

სასიამოვნოდ გაახსენდებათ ახალგაზრდებს ევროპის დღეებთან დაკავშირებული შეხვედრები, აქტიური ახალგაზრდები დასაჩუქრდნენ გასვლითი ტურით ევროკავშირისა და ნატოს საინფორმაციო ცენტრში. ახალგაზრდების კრეატიულობა, ნაკითხობა, მიმღებლობა იმედიანად გვახედებს მომავლისკენ, ბევრად უშუალოები, ჯანსაღები აუცილებლად შექმნიან საღ მომავალს და ჩვენც მათთან აზრების შეჯერებით ვგეგმავთ სამომავლო ღონისძიებებს. ვცდილობთ მასში ჩართული იყოს მუნიციპალიტეტის ყველა თემის წარმომადგენელი.

წინ გველოდება სასიამოვნო სახალხო ზეიმი, რომელიც ერთგვარი გაგრძელებაა ევროპის დღეებისა, სა-

ჩემი ამ პოზიციაზე დანიშვნა დაემთხვა პერიოდს, როცა მსოფლიო თანდათან ცდილობდა დაბრუნებოდა ცხოვრების ჩვეულ რიტმს. მიუხედავად რთული მდგომარეობისა, სამსახურს არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და ქალბატონ მანანა შამათავას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული თოჯინების თეატრი სწორედ ამ პერიოდში ბაკურიანის ფესტივალზე წარსდგა, ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პროფესიონალ მეთოჯინეთა წრეში მიღებული და დაფასებული არიან ჩვენი მსახიობები. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

საპასუხისმგებლო, რთული და ამავდროულად სასიამოვნო დანიშნულება აქვს ჩვენს სამსახურს მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. საზოგადოების ყველა ასაკობრივ ჯგუფთან გვიწევს შეხება. კულტურას და განათლებას რომ ალტერნატივა არ აქვს, ეს კიდევ ერთხელ ცხადყო პანდემიამ.

ჩაკეტილობის მერე უფრო იგრძნობა საზოგადოებისგან მოთხოვნა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც ჩვენი სამსახური ატარებს.

ცენტრში მოღვაწე პროფესიონალთა გუნდის ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, გუნდური მუშაობით ვცდილობთ, ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ და სასიამოვნო საღამოები ვაჩუქოთ საზოგადოებას.

საშობაო-საახალწლო ღონისძიებების შემდეგ არაერთი ღონისძიება ჩატარდა, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო აქტივობები ახალგაზრდების მონაწილეობით, მიუხედავად ტექნოლოგიების განვითარებისა და სამყაროში არსებული სხვა გამოწვევებისა, იგრძნობა მზაობა თანამშრომლობაზე, უფრო მეტიც, მათგან მოდის იმპულსი, რომ სჭირდებათ მხარდაჭერა. მათი იდეების, აზრების დაც მონაწილეობას მიიღებენ ქორეოგრაფიული ჯგუფები, სამუსიკო სკოლის გუნდი, ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ჯგუფები, ბიბლიოთეკის ერთგული მკითხველები, ჩაერთვებიან ყველაზე პატარები საბავშვო ბაგა-ბაღებიდან. რომელთათვისაც იგეგმება საინტერესო აქტივობები. ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის მოეწყობა სივრცეები. გვესტუმრებიან ხელთნაკეთი ნივთების შემქმნელები, გამოფენილი იქნება ადგილობრივი პროფესიონალი და თვითნასწავლი ხელოვანების შემოქმედება, საბავშვო ნახატები. ბავშვების განწყობაზე იზრუნებს პროფესიონალი მხატვარი და ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ჩვენ ევროპული ოჯახის წარმომადგენლები ვართ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბატონი ნუგზარ ნადარაიას ოჯახმა ხობს გადმოსცა არქივი, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა კულტურის სახლში, თითქოს ეს კედლები ამას ელოდნენო, შემოსულ სტუმრებს სასიამოვნოდ ხვდებათ გიორგი გეგეჭკორის შემოქმედება, სახელოვანი წინაპრების ფოტოებმა დაამშვენა თეატრის სვეტები.

ძლიერი ბაზისი არსებობს ხობის კულტურულ-შემოქმედებით საზოგადოებაში, რომელიც აუცილებლად გაძლიერდება და დარწმუნებული ვარ საპირწონე ზედნაშენი შეიქმნება.

წარსულის პატივისცემით, აწმყოს გააზრებითა და მომავლის იმედით ვფიქრობთ, სასურველ მიზანს მივუახლოვდებით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამოუკიდებლობის დღეს, ეს დღე ჩვენია.

***ანჟელა ქანთარია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოადგილე.***

# დამოუკიდებლობის სამი წელი



1918 წლის 26 მაისი, კვირა, დღის 5 საათი და 10 წუთი. თბილისში მაშინდელი გოლოვინის გამზირზე მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა. გზა 1918 წელს, რუსეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გრძელი იყო, თუმცა, მოპოვებული დამოუკიდებლობა 3 წელში, 70 წლიანმა საბჭოთა ოკუპაციამ შეცვალა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“,–ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. აი,რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე:

„ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი. როგორ არ ყურადგველო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა!...“

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი:

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.“

დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, შეიქმნა კონსტიტუცია, რომელიც საქართველოს აერთიანებდა მოქალაქეობის, ჰუმანიზმის და თანასწორობის პრინციპებზე. ეროვნულმა საბჭომ დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციური ნორმების და პრაქტიკის შესაბამისად, ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია: დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი მთავრობა კოალიციური იყო. ხელმძღვანელი მთავრობის თავმჯდომარე გახლდათ. მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, საკანონმდებლო ორგანო ერთი წლის ვადით ირჩევდა და რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის სახელსაც ანიჭებდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი იყო, თუმცა მალევე ის ხალხის მოთხოვნით, ნოე ჟორდანიამ ჩაანაცვლა.

თუ ჩვენს ისტორიას გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ ქართული სახელმწიფოს ბედს ყოველთვის გარე და შიდა ფაქტორების ურთიერთქმედება განსაზღვრავდა. თითქმის სამი ათასი წლის განმავლობაში ქართველებს მუდმივად გვიწევს დიდი იმპერიების მიჯნაზე ცხოვრება.

ჩვენი სახელმწიფოს წარმატება თუ მარცხი ყოველთვის იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი იყო მორიგი დამპყრობელი და რამდენად ქმედითუნარიანი ჩვენი საკუთარი ხელისუფლება ახალ გამოწვევასთან მიმართებაში.

ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში დამოუკიდებლობა ნაწილობრივ ან მთლიანად მრავალჯერ დაგვიკარგავს და უამრავი ტრაგედია გადაგვხდენია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფენიქსის მსგავსად, ჩვენი ერი ამდენჯერვე ახლიდან შობილა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არასრული სამი წელი იარსება (1918-1921) და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მისი მემკვიდრეობა დღევანდელი ქართული სახელმწიფოსთვის ფასდაუდებელი გამოცდილება და სიამაყის საგანია. ამის მიზეზი, პირველ რიგში, ჩვენს უახლოეს წარსულშია.

დემოკრატიული საქართველო საკუთარი ევროპული ღირებულებებითა და თავისუფლებისაკენ სწრაფვით პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა უძლიერესი პროპაგანდისტული მანქანით აღჭურვილ საბჭოთა სახელმწიფოს მოდელთან. სწორედ ამ მანქანამ შექმნა მითი „მენშევიკურ საპყრობილესთან“ დაკავშირებით.

ეს იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც რუსეთის იმპერიის ყოფილ პერიფერიაზე, ბევრ განვითარებულ ქვეყნაზე ადრე, ჩაატარა საყოველთაო არჩევნები ორი სქესის მონაწილეობით, მიიღო კონსტიტუცია, დააფუძნა სახელმწიფო ინსტიტუტები, შეიმუშავა კანონმდებლობა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების დასაცავად, გასაქანი მისცა ქალთა უფლებებს, შექმნა მრავალპარტიული სისტემური მმართველობის კარგი მაგალითი, ჩამოაყალიბა პოლიტიკური აზრისა და დებატების კულტურა. რასაკვირველია, იყო შეცდომებიც, თუმცა ამოსავალ წერტილს ეროვნული ინტერესების სამსახური და ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეალები წარმოადგენდა. ამიტომ, საერთაშორისო აღიარებითაც, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ სტაბილურ ქვეყნად რჩებოდა, მასზე არაერთი სამხედრო თავდასხმისა თუ მეზობელი რუსეთის მთელ იმპერიაში გამეფებული ანარქიის მიუხედავად. პირველმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, სულ რაღაც 1028 დღე იარსება, თუმცა გასაანალიზებლად ბევრი ისეთი საკითხი დაგვიტოვა, რასაც თანამედროვეობაშიც არ დაუკარგავს აქტუალობა.

***თეა სოსელია,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი***

# 26 მაისი — დღე თავისუფლებისა!




1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა! ეს დღე დაუვიწყარია!

როგორ შეხვდა ქართველი ხალხი თავისუფლებას, რა გამოწვევები დადგა ქართული დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშე კარგად ჩანს 1918-1921 წლების ჟურნალ-გაზეთებში. მაშინ დასმული საკითხები დღესაც აქტუალურია, ყურადსაღებიც და რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელიც.

1918 წლის 28 მაისის გაზეთი „საქართველო“ (№102) პირველ გვერდზე აქვეყნებს მასალებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. პირველ რიგში, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. შემდეგ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 26 მაისის ისტორიული სხდომის მსვლელობას. „...პრეზიდიუმის მაგიდასთან წარმომდგარ ნოე ჟორდანიას ფეხზე ამდგარი ხალხი მქუხარე ტაშით ეგებება“. ნოე ჟორდანია ესალმება ეროვნული საბჭოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს. აქტი საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული. გამოცხადდა დამოუკიდებელი საქართველოს დროებითი მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ნოე რამიშვილი.


საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

სხდომას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს პოლონეთის, გერმანიის, ოსეთის, საქართველოში მცხოვრებ გერმანელთა წარმომადგენლებმა.

ქართველ მუსულმანთა სახელით სხდომას მიმართა ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ:

„ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას, გილოცავთ მრავალტანჯული საქართველოს დამოუკიდებლობას!“.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის რაფიელ ინგილოს წერილი, ის წერს: „ქართველ ერს ხანგრძლივ ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში წილად ჰხვდომია განსაცდელში ჩავარდნა და ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის დაკნინებაში ყოფნა, მაგრამ სული ერისა არასოდეს დაცემულა და არ მისცემია სასოწარკვეთილებას. ურიცხვი მტრების წინაშე ლაჩრულად ქედი არ მოუხრია ქართველობას და არც ჩვევია გამარჯვებულისაგან მოწყალების მიღება! ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეგნება ავალებდა მამაც ხალხს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვა სამშობლოს მიწა-წყალი, არავითარ შემთხვევაში უკან არ დაეხია და ეგრძნობინა კალიასებრ მოხლვავებულ მტრისათვის, რომ საქართველოში შემოხიზნვას ის შეძლებს ქართველ მოლაშქრეთა გვამების გადალახვით!“

ძალიან საინტერესოა 1918 წლის 29 მაისს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული ს. ქვარიანის წერილი, სადაც ის აღნიშნავს ქართველი ერის შესვლას დასავლური ცივილიზაციის ფერხულში:

„...აღსრულდა ჩვენი დიდი ხნის ნატვრა! ვმადლობ განგებას, რომ მოვესწარ ამ დიდებულ წამს!.. გაიხარეთ კოლხეთის და ივერიის შვილნო! გიხაროდენ მრავალტანჯულო ქართველო ერო! ამიერიდან თქვენი წამებული სამშობლო თავისუფალია! ამიერიდან ველარ ჩაგკვრენ თავში ველური სკვითთნი და აზიის ბარბაროსნი, ველარ დაგვჯაბნიან შემოხიზნულნი, ველარ აგვიგდებენ მასხრად უცხო ტომნი! ამიერიდან ქართველი ერი შედის დასავლეთ ევროპის სფეროში და ებმის განათლებულ სახელმწიფოთა ფერხულში...“

1919 წლის 26 მაისის გაზეთ „საქართველოში“ ხაზგასმულია, რომ: „ქართველი ხალხი-სოფლის მეურნე, ქალაქის მუშა, ხელოსანი თუ ვაჭარ-მრეწველნი ერთსულოვნად უნდა შემოკრბენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობისათვის. ყოველი კლასის, ყოველი ჯგუფის თითოეული ქართველი მამულიშვილის მხნე და თავგანწირული მოქმედებაა საჭირო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლად“.


საქართველო

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული

იმავე გაზეთში ქართველი ებრაელი ი. ხანანაშვილი წერდა: „...ერთი ქართული სული შექმნილა: მართლმადიდებელი, კათოლიკე, მუსულმანი და ისრაელი ქართველის არსება ერთ ეროვნულ სხეულშია ჩამოყალიბებული. ურთიერთისადმი მისწრაფება, გაგება იმდენად დიდია, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ მოახერხებს ჩვენს დაშორებას“.

ღრმა პატრიოტიზმით არის გაჯღენთილი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის მცხოვრებლების წერილი, გამოქვეყნებული 1919 წლის 1 ივნისის გაზეთ „ერთობაში“:

,,ნოჯიხევის“ მრავალრიცხოვანი კრება 26 მაისის დღესასწაულის გამო სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას, ჯარს, გვარდიას და აღუთქვამს თავდადებულ ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაცავად“.

1918 წლის 26 მაისიდან ევროპასთან ურთიერთობა განახლდა და ინტენსიური გახდა, მაგრამ 1921 წელს საქართველოს რესპუბლიკა ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპყრო. ქართული საზოგადოება მთლიანად მოწყდა ევროპულ საზოგადოებას, რადგან იძულებით საბჭოთა საზღვრებში მოექცა.

საქართველო აზია-ევროპის საზღვარზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. ეს ადგილი ძველთაგანვე აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეხვედრისა და დიალოგის ადგილი იყო. ჩვენთვის „დასავლეთი“, „დასავლური“ მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი არ არის, საქართველო ძველთაგანვე დასავლური კულტურის მიმდევარია. ქართველები ეცნობოდნენ სპარსულ-არაბულ ხელოვნებას, აღმოსავლურ ფილოსოფიას, მაგრამ მათთვის უფრო ახლობელი ბიზანტიური კულტურა და დასავლური ფილოსოფია იყო...

104 წელი გავიდა... ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახეთ– ცუდიც და კარგიც. საქართველოს თავისი არსებობის ასწლეულების განმავლობაში არასოდეს არ შეუცვლია თავისი სტრატეგიული მიზანი. მას ბევრი ბრძოლის გადატანა მოუხდა. საქართველო არასდროს შეგუებია აღმოსავლური ცივილიზაციებისთვის დამახასიათებელ დესპოტურ მიდრეკილებებს. დღეს საქართველო სუვერენული სახელმწიფოა. ქართველებისთვის ევროპისკენ ლტოლვა თავისუფლების სიყვარულის გამოხატულებაა. იმედია, ქართული სახელმწიფო ევროპული საზოგადოების დახმარებით ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპულ სახელმწიფოთა ოჯახში.

მართალია, ქართველები უნაკლონი არ ვყოფილვართ, მაგრამ ადრეც და ახლაც ჩვენთვის მთავარი ღირებულებებია სამშობლო, ხალხი, თავისუფლება, ადამიანი და მისი უფლებები. აქა-იქ გაიგონებ ფრაზას: „რა გვეშველება?“. ვფიქრობთ სასოწარკვეთილების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უსაშველო არაფერი სჭირს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სრულყოფილებისკენ სვლა იოლი არ არის. ჩვენ, ჩვენი ჯვარი უნდა ვზიდოთ, მითუმეტეს, რომ ძალიან კარგი ახალგაზრდობა გვყავს.

ვულოცავ სრულიად საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ისტორიულ დღესასწაულს–26 მაისს!

**გოგიტა ჩიტაია**

18 მაისი–მუზეუმის საერთაშორისო დღე

# ხმა საგანძურიდან

მუზეუმი ის ადგილია, სადაც ბევრ სამაგალითო ამბებსა თუ ნივთებს, ისტორიებსა თუ თქმულებებს, სინამდვილესა თუ მითებს ვინახავთ. ეს ამბები და ისტორიები კი გვაძლევს გაკვეთილებს ცხოვრებისეულს, მაგალითებს, რომლებზეც იზრდება ახალგაზრდობა. ლეგენდებად რჩებიან თაობებისთვის ის თავდადებული ადამიანები, რომლებიც ისე შრომობენ და იღწვიან სახალხო, საქვეყნო სიკეთისთვის, როგორც საკუთარი, პირადი კეთილდღეობისთვის... ჩვენს მუნიციპალიტეტს ჰყავს ბევრი სახელოვანი და გამოჩენილი ადამიანი, მათ იცნობს ფართო საზოგადოება–ჯაჯუ ჯორჯიკია, თედო სახოკია, იპოლიტე ვართაგავა, ალიო მირცხულავა, პიერ და ბადრი კობახიძეები და ვინ იცის კიდევ რამდენი... ასეთ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება ერთი, მეტად გამორჩეული, საქვეყნოდ და ქვეყნის გარეთ ცნობილი, დამსახურებული პიროვნება–დიდი პედაგოგი გრიგოლ კობახიძე, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში დაბადებული და გაზრდილი კაცი, რომელმაც აალაპარაკა მისი დროის განათლების სისტემა.

ძნელად მოიძებნება ისეთი ადამიანი, ვისაც განათლების სისტემასთან არ ჰქონდეს კავშირი, არ აღელვებდეს ცოდნის კერაში მიმდინარე პროცესები, რეფორმები, სიახლეები, მაგრამ იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამ სისტემაში საკუთარი ღირსეული სიტყვის თქმა შეუძლია, მით უფრო მაშინ, როცა დანგრეული ეკონომიკის ფონზე გიხდება მუშაობა.

დრო, როცა მოღვაწეობდა დიდი პედაგოგი გრიგოლ კობახიძე, არ გამოირჩეოდა განათლების სისტემაში ისეთი კადრების სიუხვით, ვინც გაკვალავდა გზას ჭეშმარიტი მასწავლებლის სახელისთვის, განათლების კერის განვითარებისკენ. დაწყებული საკუთარი თავიდან, მან თბილისის №77 საშუალო სკოლაში ნამდვილი პედაგოგიური სამჭედლო ჩამოაყალიბა და მეოცე საუკუნეში, სსრ კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროსაც კი, გაუთქვა სახელი საქართველოს ამ ერთ სკოლას, რომელსაც წლების მანძილზე დირექტორობდა და მის პატივსაცემად კობახიძის სკოლას უწოდებდნენ.

კობახიძის სკოლას, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან ჰქონდა თავისი, განსაკუთრებული მიდგომები აღსაზრდელებისადმი. 30 წლის ახალგაზრდა დირექტორი, ნაჯახით ხელში, თავის ნორჩ „სამაშველო ჯგუფთან“ ერთად, ებრძოდა სიცივესა და სიღატაკეს, გადაუდებელი სასწავლო პროცესებისთვის საჭირო ინვენტარების დეფიციტს(უკალმობას, უსახელმძღვანელობას, უმელნობას, უცარცობას... ერთი სიტყვით, ყველაფერს უსახაზაობიდან სასკოლო დრამატული თეატრის მორიგი სპექტაკლის უკოსტიუმობამდე...). ის, თავისი ქმედებებით, იყო მაგალითი მოსწავლეებისთვის იმ ადამიანისა, ვისაც უნდა შეექმნა ნათელი მომავალი და ამისათვის უნდა გამკლავებოდა დუხჭირ ცხოვრებას.

გრიგოლ კობახიძე, მისი სურვილის მიუხედავად, არ გაუშვეს ფრონტზე და ახალგაზრდა თაობის რთული ცხოვრებისთვის მომზადება სთხოვეს. ისიც, დაკაპიწებული ხელებით, გონებით, მთელი არსით ჩაება ბრძოლაში მეტი განათლებისთვის, მეტი ცოდნისთვის... რადგან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ განათლებულ საზოგადოებას შეეძლო დუხჭირი ცხოვრებიდან ქვეყნის ამოყვანა, მაღალი ტექნოლოგიური მიღწევების დადება, წინააღმდეგობების დაძლევა და განვითარება. მისი მოღვაწეობა, შრომა თვალშისაცემი იყო ყველასთვის, რადგან, სადაც მუშაობდა, მუშაობდა, როგორც საკუთარ ოჯახში, გულმოდგინედ, თავდადებულად, ამიტომაც იყო, რომ ომისდროინდელი „თბილისის საფრონტო ცნობების გვერდით არა ერთხელ ისმოდა და ხედავდნენ მოწოდებას რესპუბლიკის განათლების მუშაკებისადმი: „მხარი აუბით კობახიძის სკოლას!“ ეს დიდი შრომის შედეგი იყო.



კობახიძის სკოლა იყო სანიმუშო თავისი აღმზრდელობითი მეთოდებით. აღზრდა ხომ ხელოვნებაა და დიდი ნიჭი, რომ აიყოლიო ყველა მოსწავლე, რომ გააღვიძო მათში ახლის შეცნობის სურვილი, ნამდვილ ადამიანად ქცევის მისწრაფება მთელი სულითა და გულით, მთელი შენი არსებითა და რესურსების მობილიზებით. ესაა ჭეშმარიტი მასწავლებლის ღირსეული გზა და ამ გზას კვალავდა გრიგოლ კობახიძე ჯერ კიდევ იმ დღიდან, როცა ხეთის სკოლის დირექტორმა, დიდმა პედაგოგმა აკაკი ესებუამ, მას, ჯერ ისევ სკოლის მოსწავლეს, დიდი ნდობითა და მომავლის იმედით ჩაატარებინა გაკვეთილი უმცროსკლასელებისთვის ფიზიკა-მათემატიკაში. აკაკი ესებუა იყო ის ადამიანი, რომელმაც ნიჭიერ ახალგაზრდას მისცა სტიმული, დაუდგა გვერდში და გზა უნივერსიტეტისკენ აალებინა. ასეთმა თანადგომამ, სიკეთემ შვა მასში ის დიდი ჰუმანიზმი, ყოველ ღირსეულ პედაგოგს რომ ახასიათებს და კვებავს მის ირგვლივ მყოფთაც.

გრიგოლ კობახიძის სკოლა, ქვეყნის მასშტაბით, პირველი გადავიდა კაბინეტურ სისტემაზე. სკოლაში თითოეულ საგანს, თავის თანამოაზრეებთან ერთად, კაბინეტი მოუწყო, რომელიც ზუსტად გადმოსცემდა ამა თუ იმ საგნის არსებითობას. პროფესიით ფიზიკოსი იყო და მან განსაკუთრებული სულისკვეთება ჩააქსოვა ფიზიკის კაბინეტის მოწყობას. შექმნა ისეთი კაბინეტი, რომლის ანალოგი ძნელად იძებნებოდა მეგობარი ქვეყნების სკოლებში, ამიტომაც თბილისის №77 საშუალო სკოლას სტუმრობდნენ დაინტერესებული სპეციალისტები საზღვარგარეთიდანაც. ოთხმოცამდე ქვეყნის სპეციალისტი გასცნობია მისი სკოლის მიღწევებს უცხოეთიდან... საუცხოო იყო ის, რომ შესანიშნავი ტექნიკით აღჭურვილ კაბინეტებში, რომელიც შეიარაღებული იყო თავისი სამეცნიერო ბიბლიოთეკითა და ლაბორატორიით, თვით მოსწავლეები ქმნიდნენ მანქანა-დანადგარებს მასწავლებლებთან ერთად და აწყობდნენ საცდელ ჩვენებებსა და გამოფენებს...



№77 სკოლა იყო მასწავლებელთა სამჭედლო და ამავე დროს, ეწეოდა გამორჩეულ სპეციალისტთა გადმობირებასაც. ასე შეარჩია და გადმოიყვანა თავის სკოლაში კიდევ ერთი ხობელი–ლუდოვიკო წურწუმია(ლელა წურწუმიას მამა), სამხატვრო აკადემიადამთავრებული პედაგოგი ხაზვას ასწავლიდა, მაგრამ იდეებით დახუნძლული აღმოჩნდა და სკოლის განვითარებაში აქტიურადაც ჩართულა. 77-ე სკოლა, როგორც აღნიშნავდნენ მკვლევარები, არა უბრალოდ კარგი სკოლა იყო, არამედ მუდმივმოქმედი სასწავლო ცენტრი, მეთოდური ოსტატობის უნივერსიტეტი, რომლის გზა არავისთვის არ იყო აღკვეთილი და ამიტომაც იქ მუშაობდნენ ყველაზე მაღალი კლასის სპეციალისტები, ადამიანები, რომლებიც მარტო თავად კი არ შრომობდნენ, არამედ „სხვებსაც ასწავლიდნენ ჩინებულად შრომას“. დირექტორი კობახიძე ყოველ პედაგოგს გულისყურით უსმენდა და ეხმარებოდა, არჩევდა მისი სკოლისთვის მომავალ პედაგოგებს... მან სკოლის ასაკიდანვე, მისსავე სკოლაში შეარჩია მომავალი ფიზიკის მასწავლებელი დავით გონდაური, რომელსაც როგორც ნიჭიერ მოსწავლეს, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის საგზური მისცა და მასთან ერთად 40 წელი ასწავლიდა ერთ ოჯახადქცეულ სკოლაში. აქ, კობახიძის სკოლაში იღებდნენ სტუდენტ პრაქტიკოსებს და გზას უკვალავდნენ პედაგოგიკაში. ვინ იცის რამდენი სახელოვანი მასწავლებლის მოტივატორი გამხდარა გრიგოლ კობახიძე...

გრიგოლ კობახიძე 47 წელი იყო თბილისის №77 საშუალო სკოლის დირექტორი და როგორც ამბობენ, არასდროს მცირე გონებამახვილობაც კი არ გამორჩენია მასწავლებელთა შემოქმედებიდან. ის მიიჩნევდა, რომ არ არსებობს სწავლებაში კარგი და ცუდი მეთოდები, მთავარია ბავშვებთან ურთიერთობის უნარი და პედაგოგიური მიზანდასახულობა. ის, თვითონაც, როგორც დირექტორი ხომ მთავარი აღმზრდელი იყო თავის სკოლაში(როგორც უშინსკი ამბობდა), როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთან დამოკიდებულებაშიც. ის ზრდიდა მის კოლექტივს თავისი პედაგოგიური შეხედულებებითა და გატაცებებით, თავისი მაგალითით, თავისი ავტორიტეტით, „ის ქმნიდა მის სკოლაში ტრადიციებს, მაგრამ ამავე დროს აძლევდა ყოველ მოსწავლესა თუ მასწავლებელს სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აზროვნებაში და პრაქტიკაში, ნიჭის გამოვლენაში“, ამიტომაც მის კაბინეტში დაგროვდა უამრავი ნიმუში მეცნიერული თუ ტექნიკური მიღწევებისა, რომელთა ავტორებიც მისი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები იყვნენ. ეს ნამუშევრები გამოფენილი იყო სკოლის კაბინეტების საგამოფენო კედლებზე და ბევრისთვის გამხდარა მაგალითი და მოტივატორი უკეთესი სწავლისა.

გრიგოლ კობახიძეს თავის სკოლაში ჰქონდა ჩამოყალიბებული მშობელთა უნივერსიტეტი, რითაც მან შეკრა ის სამკუთხედი, რომელიც აუცილებელია ნამდვილი, განვითარებული ადამიანის ჩამოსაყალიბებლად. ამ უნივერსიტეტში ასწავლიდა დირექტორი მშობლებს საკუთარ შვილებს, მათ ხასიათსა და ბუნებას, თავისებურებებს... სტუმრად მოჰყავდა ცნობილი მეცნიერები და მათი დახმარებით არკვევდნენ, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ მშობლები შვილებს სასწავლო დავალების დაძლევაში და ა. შ.

დიდმა პედაგოგმა შექმნა უამრავი ნაშრომი და მის მოწაფეებსაც–მისი სკოლის პედაგოგებს შეაქმნევინა უამრავი ნაშრომი კონკრეტულ მეცნიერებებში. თბილისის №77 საშუალო სკოლაში ყველა ბრწყინავდა, ამიტომაც ამ სკოლას „პედაგოგიური ვარსკვლავების“ სკოლას უწოდებდნენ, რაშიც ლომის წილი დირექტორს მიუძღოდა, ადამიანს, რომელიც დიდი მიზნების მისაღწევად დღე და ღამ დაუღალავად შრომობდა.

გრიგოლ კობახიძეს, თავის დროზე, სსრკ სახალხო მასწავლებლის წოდება მიანიჭეს, იყო იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორდენის კავალერი და ამავე სახელწოდების პრემიის ლაურეატი. ეს უდაოდ ღირსეული ჯილდო იყო, მაგრამ დღეისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მისი განვლილი გზით, ნოვაციებით, სწავლის მეთოდებით, ახალგაზრდა პედაგოგთა მომზადებით, მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან დამოკიდებულების ჩვენებით, მან დადო მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგი და რა საქმიანობას უნდა ეწეოდეს სკოლა, აჩვენა თავისი ცხოვრებით, როგორი უნდა იყოს სკოლის მმართველი და გახდა განათლების სისტემაში, სასკოლო ცხოვრების განხილვისას დიდი გამოცდილებებისა და სანიმუშო შედეგების სიმბოლო.

პატარა ხობის ერთმა ღირსეულმა შვილმა–გრიგოლ კობახიძემ შექმნა სახე ნამდვილი შემოქმედი მასწავლებლისა, მოაზროვნის.

როგორც ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი–შ. ამონაშვილი ამბობდა–„იგი სახალხო განათლების სტრატეგი“ იყო, ხოლო მისი შექმნილი სკოლა კი–„ახალ პედაგოგიურ იდეალთა გენერატორი, რომელიც ღრმა მეცნიერული მიებისკენ გიბიძგებს“.

გრიგოლ კობახიძის შესახებ უფრო დაწვრილებით დღესაც მოგიყვებათ თბილისის 77-ე საჯარო სკოლა და ხობში - „ხობის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი“, რომლის ერთერთ დარბაზში, მისი პირადი ნივთები და მასალებია გამოფენილი. იგი უამრავი ადამიანისთვის მაგალითია და დღესაც ბევრ საინტერესო ამბებს უყვება დამთვალიერებლებს...

მუზეუმი საგანძურია, სადაც უამრავი სანიმუშო და რელიქვიადქცეული ნივთები ინახება და ხმა ისმის იმ დიდი ადამიანებისა, ვისაც ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმისთვის სული, გული და გონება ერთად მიუძღვნიათ.

მოვუსმინოთ ამ ხმებს და ვესტუმროთ მუზეუმებს! იქ უამრავი საინტერესო და ძვირფასი ადამიანების ისტორიები დაგხვდებათ, ადამიანებისა, რომლებმაც ამ ქვეყნად მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

***ნინა ბუკია,***
***ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.***

# უფალთან წილნაყარი ქართული პოეზიის საღამო



20 მაისი. ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზი... საზოგადოების შეკრების მიზეზი პოეტის, მწერლის, პუბლიცისტის, ესეებისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, საქართველოს მწერალთა კავშირის, მწერალთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრის, ილია ჭავჭავაძის, რევაზ ინანიშვილის, ტერენტი გრანელის პრემიის ლაურეატის, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ გურიფულის მკვიდრის, ბატონ ლაშა გვასალიასთან შეხვედრა გახლდათ.

როგორც დაანონსებული იყო, შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიებას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბერაია ესწრებოდნენ.

დარბაზში ხობელებთან ერთად შეკრებილნი იყვნენ სტუმრები რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებიდან.

ჩემთვის ძნელია ვისაუბრო ქართულ მწერლობაში უკვე შემდგარ მწერალზე. მისმა ცხოვრებამ და შემოქმედებამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. როცა მისი პირველი ლექსის პირველმხილველი ჩემი მშობლიური გაზეთია. ძნელია, რადგან უახლოეს პიროვნებაზეა საუბარი... მისი ქართული და მეგრული ლექსების, მოთხრობების პერსონაჟები ჩემს თვალწინ ტრიალებენ...

პოეზიისა და ლექსის მოყვარულები კიდევ ერთხელ მიესათუთნენ მის შემოქმედებას... თავმდაბლობით გამორჩეული (თავმდაბლობა ხომ პიროვნულ კულტურაზე მეტყველებს), „შინაურების" მოფერებამ თითქოს გაალაღაო, მოგონებების ზღვა წამოვიდა ბავშვობიდან, ეროვნული მოძრაობის აღზევების პერიოდიდან, პედაგოგების, სულმნათი მამის მოგონებიდან. მოკლედ, მისი დატვირთული ყოველდღიურობიდან...

სამადლობელს ბოლო არ უჩანდა...

ბატონ ლაშას შემოქმედებაზე ისაუბრა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ლიტერატურათმცოდნე გელა მამფორიამ, პოეტმა ლამზირა ფირცხელავამ, როლანდ ჯიქიამ, მისმა პედაგოგმა, პოეტმა ლემზარ გაბელიამ, თანაკლასელმა კობა თუთბერიძემ, ნოდარ ხურციამ.

მწერალმა ფოლკლორულ ანსამბლ „კოლხეთის" წევრებთან ერთად, მეგრული ხალხური სიმღერები შეასრულა.

...და იყო ლექსის, ქართული პოეზიის მოგონებათა ფოიერვერკი, ქართული სიტყვის მოწიწება და მოფერება...



პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, საღამო იქცა არამარტო ლაშა გვასალიას, არამედ ქართული პოეზიის ზეიმად. თავად სტუმარმა და მასპინძლებმა გააცოცხლეს დიდი შოთა, ბარათაშვილი, ტერენტი, ორბელიანი, გალაკტიონი... თითქოს მათი სული ტრიალებდა დარბაზში.

ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველებმა ნიკა კუკავამ, ლიზი ჯანჯღავამ, მარი ლომაიამ და დავით ჯორჯიკიამ წაიკითხეს ლექსები პოეტის კრებულიდან.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ლაშა გვასალიას პოეზიასა და პროზაში ჩვენი ქვეყანა ყველაზე მეტად არის დანახული და ყველაზე მეტად ჩანს პოეტის ნაზი და მეოცნებე სული. ამიტომ გიმძაფრდება რწმენა იმისა, რომ ქართველი ერი იცოცხლებს მარად, ის არასოდეს გადაგვარდება, რადგან თქვენნაირ მოღვაწეს ბადებს,– ბატონო ლაშა.

თამამად შეიძლება ითქვას, ლაშა გვასალია ერის, სრულიად საქართველოს მოჭირნახულე პოეტია, მის მაჯაზე უდევს ხელი და თავადაც მისით სუნთქავს. ამიტომაცაა, როცა საქართველოს, ქართულ სიტყვას ან ჩვენი კუთხის ეროვნულობაზეა საუბარი, ის აღელვებული, პირდაპირი და შეუპოვარია...



ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა შესაძლებლობების შემოქმედი ჰყავს ქართულ მწერლობას ლაშა გვასალიას სახით და რომ აწი „იწყება პოეტის დიდი ამოცისკრება"...

გავახმოვანებ დარბაზის გულისთქმას–მადლობა მერიის კულტურის სამსახურს ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის. თითქოს სიმბოლურიც იყო მოახლოებული 26 მაისის სამზადისის პერიოდში მისი საღამოს გამართვა.

მადლობა ბატონ ბეჟან ნადარაიას საღამოს საინტერესოდ წაყვანისთვის.

გავბედავ და ისევ პოეტის სტრიქონს მოვიშველიებ „მზემ შეასხა წკვარამეთს ფრთები," საღამოზე თითქოს მზის სხივი ანათებდა და ათბობდა მაისის უჩვეულოდ ცივ ამინდს...

გარეთ ჟინჟლავდა, „ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი..."

***მერი ლაგვილავა.***

***P.S. წინამდებარე სტატიას არა აქვს პრეტენზია პოეტის შემოქმედების ანალიზისა. თემას გაზეთი მომდევნო ნომერში დაუბრუნდება.***

# ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა



ხობის მუნიციპალიტეტის მერი დავით ბუკია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ხობის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე რევაზ ზაქარაია, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ზვიად ბუკია და ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ანტონ ვარდია ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს, სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები ნოჯიხევის, საჯიჯაოს, გაღმა საჯიჯაოს და ბიის ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სისტემური წესით რეგისტრაცია 2024 წლის ბოლომდე დასრულდება.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, წინასწარ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალებში, საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით აზომავს მიწის ნაკვეთებს, მოიძიებს შესაბამის დოკუმენტაციასა და დაარეგისტრირებს საკუთრებას. სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, საჯარო რეესტრი საკუთარი ინიციატივით წარმართავს რეგისტრაციის მთლიან პროცესს და მოქალაქეს სრულიად უფასოდ გაუწევს შემდეგ მომსახურებებს: მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები; უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება; სანოტარო მედიაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია. მიწის სისტემური რეგისტრაცია მოიცავს ეტაპებს: მიწის ნაკვეთების აზომვა; დოკუმენტების მოძიება; საჯარო გამოცხადება; მონაცემების გადამოწმება; რეგისტრაცია.

| მუნიციპალიტეტი | 2022 წელი | 2023 წელი | 2024 წელი |
|---|---|---|---|
| ხობი | ნოჯიხევი - მაისი;<br>საჯიჯაო - ოქტომბერი;<br>ბია - ოქტომბერი. | ქარიატა - თებერვალი;<br>პატარა ფოთი - თებერვალი;<br>შუა ხორგა - თებერვალი;<br>პირველი ხორგა - თებერვალი;<br>ახალი ხიბულა - ივლისი;<br>ძველი ხიბულა - ივლისი;<br>ჭალადიდი - ივლისი;<br>შავღელე - ივლისი;<br>ხამისკური - ნოემბერი;<br>ხეთა - ნოემბერი;<br>ხობი - ნოემბერი. | ახალსოფელი - თებერვალი;<br>გურიფული - თებერვალი;<br>ზემო ქვალონი - თებერვალი;<br>თორსა-ღლვაბა - თებერვალი;<br>პირველი მაისი - თებერვალი;<br>საგვიჩიო - ოქტომბერი;<br>ქვემო ქვალონი - ოქტომბერი;<br>ყულევი - ოქტომბერი. |

**სოფელი**

*შუა ხორგა ოდითგან ერთ-ერთი გამორჩეული სოფელი გახლდათ. აქ შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. ინტელიგენციის უმრავლესობა ხობში სხვადასხვა თანამდებობებზე იყვნენ დასაქმებულები. დღესაც მრავალი ღირსეული და წარმატებული ადამიანი ცხოვრობს და საქმიანობს ხობსა თუ შუა ხორგაში.*

*შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლებია: შუა ხორგა, გალმა ხორგა და ყორათი.*

*სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელ* ***ირაკლი შენგელიასთან*** *ერთად სოფლის სასიკეთოდ შრომობენ სპეციალისტები: ქალბატონები მეტვარ ლატარია და ირმა მურღულია.*

*გაზეთი „ხობის მოამბე“ დაინტერესდა თუ როგორ ცხოვრობს ამჟამად სოფელი შუა ხორგა. რა სიახლეებია, როგორ ფუნქციონირებენ იქ არსებული წარმოება-დაწესებულებები, რა გაკეთდა სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. რა გაკეთდება სამომავლოდ 2022 წელს. საამისოდ ინტერვიუ ვთხოვე ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს შუა ხორგის ადმინისტრაციულ ეთეულში ირაკლი შენგელიას.*



# „სოფლის მოსახლეობა მეტს იმსახურებს“

***ბატონო ირაკლი, არც ისე დიდი ხანია მუშაობთ შუა ხორგაში სოფლის ხელმძღვანელად. ახალ ამპლუაში ყოფნას, ალბათ, უკვე შეეჩვიეთ.***

***გაეცანით მკითხველს, ვინ არის ირაკლი შენგელია?***

–მოგესალმებით, მადლობა ყურადღებისთვის, დავიბადე 1980 წლის 5 იანვარს. ხობში–შუა ხორგაში. დავამთავრე სენაკის №3 საშუალო სკოლა. 2001 წელს დავამთავრე ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.



ინსტიტუტის შემდეგ ვმუშობდი სხვადასხვა სამსახურებში: ხობის რაიონულ სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე (2001-2010 წ.წ.) ორი წელიწადი შ.ს.ს. მომსახურების სააგენტოს ფელდეგერი ვიყავი; შემდეგ იგივე თანამდებობაზე შ.პ.ს. საქართველოს ფოსტაში ვიმუშავე; 2013–14 წლებში ვმუშაობდი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტად. 2015-16 წ.წ. ვიმუშავე აბაშა-სენაკის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში შემოსავლების სამსახურის უფროსად. ასევე ხობის მაგისტრატ სასამართლოში მანდატურად. 2018-21 წ.წ. ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე გახლდით. 2021 წლის ნოემბრიდან ვარ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ჩემს სოფელში.

მყავს მეუღლე და 3 შვილი.

***როგორი დაგხვდათ სოფელი. რა არის თქვენთვის მთავარი ვალდებულება, რა მიგაჩნიათ წარმატების მიღწევის მთავარ ფორმულად?***

–სოფელში დამხვდა 19 კილომეტრზე გაყვანილი წყალსადენი, მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. კეთილმოწყობილია ადმინისტრაციული შენობის და საბავშვო ბაღის ეზოები, მოხრეშილია შიდა გზები. 6,7 კილომეტრზე დაგებულია ასფალტობეტონის გზა. სოფელ ყორათში გაკეთდა გარე განათება.

ჩემთვის, როგორც საჯარო მოხელისა და მერის წარმომადგენლისთვის, მთავარი ვალდებულება და წარმატების მიღწევის ფორმულად მიმაჩნია ჩემი ხალხის (მოსახლეობის) და ქვეყნის სამსახური, მათზე ზრუნვა, რომლის პირნათლად ასრულება უდიდეს მოქალაქეობრივ ღირსებად და ვალდებულებად მიმაჩნია.

***ბედისწერის გჯერათ, როგორ ფიქრობთ, მუშობის დაწყების პირველი დღიდან კარგი განწყობა დაიბედეთ?***

–ყველაფერი უფლის ნებაა. ჩემთვის უმთავრესია, ჩემი მოსახლეობის გვერდში დგომა და მათი პრობლემების მოგვარებაში დახმარება. ვფიქრობ, ჩემი ხალხის სასიამოვნო დახვედრით, მუშაობის დაწყების პირველი დღიდან მართლაც კარგი განწყობა დავიბედე, რისთვისაც მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს.

***ბატონო ირაკლი, გვიამბეთ როგორია თქვენი ადმინისტრაციული ერთეული და როგორ მუშაობენ იქ არსებული წარმოება დაწესებულებები. გვიამბეთ წარმატებულ ახალგაზრდებზე.***

–სოფელში გვაქვს კეთილმოწყობილი საჯარო სკოლა, რომლის დირექტორია ქალბატონი გულნარა ტაბაღუა, სკოლას ჰყავს 23 მასწვლებელი, აქედან 21 სერთიფიცირებულია. შუა ხორგის საჯარო სკოლაში 206 მოსწავლე სწავლობს.

სოფელში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რომლის მთავარი სპეციალისტი ქალბატონი შორენა ესებუა გახლავთ. ბაღს 10 თანამშრომელი ემსახურება. ორ ჯგუფში 36 აღსაზრდელი ირიცხება.

შუა ხორგაში ფუნქციონირებს ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია, რომელიც აშენდა მარადისობაში გადასული შუა ხორგელი ახალგაზრდის, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ზვიად დათუაშვილის ოჯახის მიერ, მათი შვილის სახელის უკვდავსაყოფად, შვილის, რომელიც საქართველოს ერთიანობასა და თავისუფლებას შეეწირა. დიდება მის სახელს!

სოფელში არის სამედიცინო ამბულატორია, რომელსაც ემსახურება გამოცდილი და პროფესინალი ოჯახის ექიმი ქალბატონი სოფიო მალანია და მედდა ელისო დოლბაია. სოფელი კმაყოფილია მათი მომსახურებით. ასევე დიდი შრომა და თანადგომა გასწიეს მათ პანდემიის პერიოდში.

ასევე არსებობს ბიბლიოთეკა, რომელსაც ემსახურება ბიბლიოთეკარი ქალბატონი ზეინაბ ლატარია. იქ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზებით, ჩატარდა ვიქტორინა „ეკომეგობარი“, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი საჯარო სკოლის მოსწავლე-მომღერალთა გუნდი–სახელწოდებით „ტერა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მასწავლებელი ნანა იოსავა. აღნიშნულ ვიქტორინაში გუნდმა „ტერამ“ მეორე ადგილი დაიკავა. მათ წიგნები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. მადლობის მეტი რა გვეთქმის მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართ.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულს ჰყავს წარმატებული ახალგაზრდები– საქართველოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვახტანგ ლოლუა. მინდა ეს წარმატება ვახტანგისთან ერთად, მის მწვრთნელებს და მშობლებს მივულოცო.

ასევე ხორგას ამშვენებს ქალთა საფეხბურთო გუნდის –ხობის „კოლხეთის“ კაპიტანი ანა წულაია, რომელიც არის საქართველოს ნაკრების წევრი. მან არაერთხელ გაგვახარა. წარმატებები ჩვენს სპორტსმენებს!

***უკრაინელი ხალხის დახმარებაში როგორი იყო სოფლის წვლილი?***

–პირველ რიგში მშვიდობა და მხარდაჭერა მინდა გამოვხატო უკრაინელი ხალხის მიმართ. ხობის მუნიციპალიტეტში გამართულ აქციაში „გაიღე სისხლი უკრაინელი ხალხის გადასარჩენად“, მონაწილეობა მიიღეს ჩვენი სოფლის მცხოვრებლებმა და პირადად მეც. წილი დავიდეთ უკრაინაში ხობელთა სახელით გაგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებაში.

***რას ითვალისწინებს „სოფლის მხარდაჭერის“ ახალი პროგრამა?***

–„სოფლის მხადაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ჩვენს ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა შემავალ სოფლების დასახლების კრებები. მოსახლეობის მიერ შეირჩა შემდეგი პრიორიტეტები–სოფელ გამოღმა შუა ხორგაში–გარე განათების მოწყობა, სოფელ გალმა შუა ხორგაში, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, სოფელ ყორათში–შიდა გზების მოხრეშვა.

***არის კიდევ ისეთი რამ, რაც საინტერესო და ყურადსაღებია?***

–საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამა იწყება, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწის დამუშავების საკუთრებაში არსებული ჯამური ფართის არანაკლებ 0,25 და არაუმეტეს 1,25 ჰექტარი მიწის ნაკვეთის არსებობისას სუბსიდიის მიღებას, რომელიც მიწის რაოდენობის მიხედვით განსაზვრულია დაახლოებით 300 ქულით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს მოსახლეობას მეტი მიწის ნაკვეთის დამუშავებაში. მოსახლეობა აგრობარათის მიღების თაობაზე ინფორმირებულია.

სოფელში დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები. მოხნულია დაახლოებით 170 ჰექტარი მიწის ფართობი. დათესილია 25 ჰექტარზე მეტი.

სოციალური კუთხით, შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმდა სოციალურად დაიცველი ოჯახების 3 ბენეფიციარი, რომელთა ხელფასი მოიცავს 300 ლარს, რისთვისაც მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

სოფელში გვყავს აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი. ერთ-ერთ მათგანს, ქალბატონ პივა ადამიას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა, მას ღირსეულად მივულოცეთ...

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, გმირი ახალგაზრდის, ზვიად დათუაშვილის დედას, ქალბატონ მარინა ჯგერენაიას ხობის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი მალანიამ და მოადგილე გიორგი გვასალიამ დედის დღე მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობა უფრო მეტს იმსახურებს, რაც სამომავლოდ მათთვის დიდი სტიმული იქნება.

ვემადლიერები თანასოფლელებს ნდობისთვის, მხარდაჭერისთვის. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ.

მშვიდობა და ერთიანობა საქართველოს, ქართველს ხალხს!.

***ესაუბრა ნანი კილასონია.***

# 9 მაისი–ფაშიზმზე გამარჯვების დღე

## „ხსოვნის ველი...“



**„ხსოვნის ველი“**

რაც უფრო გვშორდება ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიული დღე, სამწუხაროდ, მით უფრო მცირდება ომგადახდილ თანამემამულეთა რაოდენობა. ბევრი მათგანი იმქვეყნად წავიდა.

ფრონტზე მოუშუშებელი ჭრილობებისა თუ სხვა ობიექტური მიზეზთა გამო, მაინც ჩვენს დღევანდელ ყოფას კვლავ ამშვენებენ ადამიანები, რომლებმაც საგრძნობი წვლილი შეიტანეს ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების მოპოვებაში...

* * *

ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული ტრადიციულად ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბრძოლო დიდების მემორიალთან გაიმართა.

77 წელი გავიდა სამამულო ომის დამთავრებიდან, მაგრამ დაუვიწყარია იმ ადამიანთა თავდადება და გმირობა, რომელთაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დიდი წვლილი შეიტანეს ფაშიზმის განადგურებაში. მინდა გავიხსენო თითოეული მათგანი და ქედი მოვიხარო მათ წინაშე.

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბუკიამ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას, ვარდებით შეამკეს „ხსოვნის ველი“.

* * *

მის სიკვდილზე არავინ ფიქრობდა...

მის სიკვდილს სიკვდილს ვერ დავარქმევდი...

იდგა ამაყად, სტუმრებს მასპინძლობდა, მოისმინა უამრავი თბილი სიტყვა, მილოცვა, გულიან კაცს უეცრად გულმა უმტყუნა, ჩუმად დაიკვნესა და წავიდა, წავიდა დიდი ადამიანი, დიდი ინტელიგენტი, კეთილსინდისიერად ვალმოხდილი ქვეყნისა და ერის წინაშე, დაღლილ-დაქუნცული საუკუნეს მიღწეული ბერმუხა. დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ღირსეული შვილების მამა, საამაყო შვილიშვილების ბაბუა კაპიტონ ცხადაია, ახლაც ჩამესმის ნინოს სასოწარკვეთილი ხმა „ოღონდ დღეს არა მამა, შენ გენაცვალე“, მაგრამ დაგვემშვიდობა.

ყოველი წლის 9 მაისს განსაკუთრებული მღელვარებით ელოდა ბატონი კაპიტონი, მისთვის ტრადიციულად უდიდესი ზეიმი იყო ეს დღე. ვაგლახ, რომ წელს ეს დღე მისი მოულოდნელი გარდაცვალების თარიღად დარჩა ცხადაიების ოჯახისთვის.

წავიდა „უკანასკნელი მოჰიკანი“ მისი სახელი და ღირსეულად განვლილი გზა მომავალ თაობას პირნათლად გადაეცემა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მსუბუქი იყოს მის მკერდზე დაყრილი მიწა.

***ნაირა ბერაია.***

რედაქციის არქივიდან

## დიდებით გაბრწყინებულ სახლში




ხსოვნას ყვავილები ამშვენებს... მოდით, ეს წერილიც ერთ მიხაკად მიითვალეთ, მკერდგაპობილის ფეხრთით დადებულ მიხაკად.

მდუმარებით შემოსილა სოფელ ხეთაში დიდების საბრძოლო მემორიალი... ამ მდუმარებაში უკვდავებას დაუსადგურებია, კედელზე იმ ადამიანთა სახელებია მკვეთრად ამოტვიფრული, რომლებსაც შინმოუსვლელი ჯარისკაცები ჰ ქვიათ, ისინი სულ პატარა ბიჭები იყვნენ, პირტიტველა, ცხრამეტშეუსრულებელი ბიჭები, თითებზე მელანი რომ არ შეშრობიათ, ჯერ რომ კიდევ ონავრულ ამბებს ჰყვებოდნენ და ფრონტზე წავიდნენ 41–ში. უმრავლესობა უკან აღარ დაბრუნდა. რამდენი გამოკეტილი სახლი მინახავს, რამდენი გაციებული კერა! ოთხი მძიმე წელი... წლები საერთოსახალხო უბედურებისა. არნახული დრამატიზმით, გმირობით, ვაჟკაცობით, შიშითა და მოლოდინით სავსე. დიდმა სამამულო ომმა წარუშლელი კვალი დატოვა ადამიანების მეხსიერებაში, ამიტომაც ჩაუქრობელია გამარჯვების ნათელი.

მემორიალის კედლებიდან იმზირებიან ომის ვეტერანთა სურათები. ყველას გინახავთ ომისდროინდელი დოკუმენტური ფილმები, მათში ადამიანებს განსაკუთრებული, მხოლოდ იმ წლებისთვის დამახასიათებელი იერი აქვთ, წარმატებისგან შეშლილი, არეული და მაინც ამ უსასოო სახეებშიც მოჩანს იმედი და რწმენა უეჭველი გამარჯვებისა, გასხივოსნებულია იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც მშვიდობით დაბრუნდნენ და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაებნენ. ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავდადებით იბრძოლეს და მშვიდობიანი დღე მოუტანეს თანამედროვეობას.

დგეხარ დიდების მემორიალთან და მოკრძალებით დააბიჯებ, თითქოს არ გინდა მდუმარება დაარღვიო, ამირან ლატარიას სამკუთხა ბარათებს ცრემლმორეული ვკითხულობ და ვფიქრობ, გამარჯვების რწმენა ამოძრავებდათ მაშინ, სამშობლოს სიყვარული ჰქონდათ ძალუმად...

„...ნუ გეშინია დედა, ჩვენ გავიმარჯვებთ... ხეთაში ალბათ აყვავდა–ნუში, გაზაფხულია... ო, როგორ მენატრება ჩემი მშობლიური კერა...“

სათუთად დავაბიჯებ... თითოეული კუთხე-კუნჭული მნიშვნელოვანია ისტორიის გაუხუნარი ფერისცვალებით, სახელოვან ადამიანთა შრომითი საქმიანობის ამსახველი ფოტო-დოკუმენტებით. შთაბეჭდილების წიგნში აღფრთოვანების და დიდი მოწონების სიტყვებია ჩაწერილი.

დიდების მემორიალის ხსოვნის ველი პატარა, წმინდა ადგილია... აქ განისვენებენ შინმოუსვლელის დედა ლიზა და შინმოუსვლელი შვილი ამირან ლატარიები.

ძეგლად აღმართულ მარმარილოზე თიოეული შინმოუსვლელის სახელებია ამოტვიფრული...

მწვანედ ბიბინებს კოინდარი, ლაღად ჭიკჭიკებენ მერცხლები. მტირალა ტირიფები დაბლა დახრილან და მარადისობის ცეცხლი ანთია დაუსრულებლად...

თავდახრილი ვდგავარ წმინდა ადგილზე და მღელვარებით გავყურებ ირგვლივ მიდამოს. ყველაფერი ამწვანებულა, აყვავებულა. გაზაფხულია, გამარჯვების მაისს ვზეიმობთ და პატივს მივაგებთ ომის ვეტერანებს, შინმოუსვლელთა სახელებს.

***მედეა კობახიძე.***

***1995 წელი .***

***გაზეთი „სამეგრელო“.***



1976 წლის 9 მაისი ხოგელ ომის ვეტერანთა ჯგუფი ერასტო ხვიჩიას ოჯახში





რედაქციის არქივიდან

# 9 მაისი—ფაშიზმზე გამარჯვების დღე

რედაქციის არქივიდან

## რაც თქვენმა გულმა იმგრძნობიარა...



არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე უხმაუროდ ქმნიან ისეთ ბიოგრაფიას, რომელიც მისაბაძია თაობებისთვის. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ყველასთავის საპატიო და საყვარელი პიროვნება ალექსანდრე ცხადაია.

ხობში დაიბადა და გაიზარდა ოთხ დედმამიშვილთან ერთად. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ფოთის პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიღო სპეციალობა და მუშაობა დაიწყო ჯერ რედაქციაში, შემდეგ ქალაქკომში. სწორედ ამ დროს მოუსწრო დიდმა სამამულო ომმა. მისი ძმა ბიქტორ ცხადაია მოხალისეთა რიგებს შეუერთდა, ალექსანდრეც სულ მალე გაჰყვა მის კვალს...

ომის ქარცეცხლიანი დღეების მოგონება დღესაც ჟრუანტელს გვრის ბატონ ალექსანდრეს. დაუსრულებლად გვიყვება ფრონტულ ცხოვრებაზე, მის ეპიზოდებზე, გამარჯვებით განცდილ სიხარულზე. ის იბრძოდა უკრაინაში—ზაპოროჟიეში. მძიმედ იყო დაჭრილი. გამოჯანმრთელებისთანავე კვლავ შეუერთდა მის დივიზიას. ვინ იცის კიდევ რამდენჯერ ჩახედა თვალებში სიკვდილს, რამდენ საბედისწერო მომენტს დაუსხლტდა, ალბათ, განგების ნება იყო ასეო ამბობს და ვერ აღწერს იმ სიამაყეს, გამარჯვებამ რომ მოუტანა ბერლინში მყოფს. მაშინ დაქუხებული „ვაშა“ ცოცხლად შემორჩაო ჩემს მეხსიერებას... თუმცა სევდანარევი იყო ეს სიხარული, რამდენი ჩვენი თანამემამულე თუ სხვა ეროვნების უწვერ-ულვაშო ახალგაზრდის სიცოცხლე ჩაიფერფლა ამ უსამართლო ომში...

დაბრუნდა ალექსანდრე ცხადაია თავის საყვარელ ხობში. ზუგდიდის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტიც დაამთავრა. ცოტა ხანს ნოჯიხევის სკოლაში იმუშავა მასწავლებლად. ოცდათოთხმეტი წელი დაჰყო შუა ქვალონის საშუალო სკოლაში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგედ, ბოლოს კი დირექტორად. ამ სკოლიდან დაფასებულად გაცილების შემდეგ ერთხანს მასწავლებელთა სახლის დირექტორად იმუშავა.

ამჟამად არის რაიონის პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

გვიან დაოჯახდა, ბაბუობა მაინც მოასწრო. ჰყავს შესანიშნავი ბუნების მეუღლე და ერთადერთი ქალიშვილი ეკა, რომელმაც სამი შვილიშვილი აჩუქა მშობლებს და ამ სიხარულით სიცოცხლე გაუხანგრძლივა.

ბატონმა ალექსანდრემ მთელი ცხოვრება ისე იცხოვრა, რომ კაცურკაცობისგან არასოდეს გადაუხვევია, სინდისნამუსი არაფერზე გაუცვლია. პატიოსნება ამშვენებს მის სახელს და გვარს. როცა ეს ორატორი კაცი სიტყვით გამოდის, აუდიტორიას მუდამ სჯერა მისი სიტყვების...

ცხოვრება საოცრად შეიცვალა, ბევრი რამ სიკეთისკენ წავიდა, ბევრი რამ დამახინჯდა, რაც გულს სტკენს ნაომარ და ნაღვაწ ადამიანს. მას სურს საქართველოში ზეობდეს არა შური და გაუტანლობა, არამედ სიყვარული და სიკეთე, იყოს დაცული ადამიანი, სუფევდეს წესრიგი და კანონი კანონობდეს. ამ სურვილებით ამთავრებს ჩემთან საუბარს და კვლავ დინჯად ადგება ცენტრალურ გზას, რომლითაც ყოველდღე სამსახურში დადის გაუცდენლად. უღალატოდ...

დიდხანს იცოცხლეთ ბატონო ალექსანდრე, მანამ, სანამ არ მოგწყინდებათ ამქვეყიური ტკბილ-მწარე ცხოვრება.

გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, თავს მოწიწებით ვხრი თითოეული თქვენთაგანის წინაშე და გულსუფთად ვამბობ: მრავალ გაზაფხულს, ვეტერანებო, რადგან რაც თქვენმა გულმა იმგრძნობიარა, რამდენ თაობას ეყოფა, ალბათ...

**ლეილა წოწონავა.**
**1995 წელი, გაზეთი „სამეგრელო“**

## ოჯახი ომში

როგორც ყველა პატარა სოფელი საქართველოში, ისე ბიაც ზაფხულობით მწვანეშია ჩაფლული. მთა-გორიანს უხდება ფერდობზე შეფენილი წიფლის, მუხისა და რცხილას კომორები. გორაკებს შორის ლამაზად მიირხევიან ღელეები—ნიშია, ონასურე, ოგანე. ფერდობებსაც თავისებური, დამახასიათებელი სახელი ჰქვიათ—ბჟალეთი, ნართი, ნანაკერა, ხაჩქანიორი.

საღამო ხანია, ბინდში იძირება მიდამო, დგება დამამშვიდებელი სიჩუმე და ამ დროს გაისმის ნაზი მეგრული სიმღერა „ჩანგური“. ეს ბესარიონ თუთბერიძის ოჯახში მღერიან. იმღერებენ აქ ამ ოჯახში რვა შვილის შემყურე დადუ და ბესარიონი. გულს ახარებს რვა მათ მიერ შექმნილი სიცოცხლე. ოთხი ბიჭი და ოთხი გოგო. ხარობენ ახალგაზრდა მშობლები შვილებით, მატერიალურადაც არ უჭირს ოჯახს. ის კი არადა, კოლექტივიზაციის პერიოდში უღელი ხარი ჩააბარა მთავრობას ბესარიონმა, რაც მაშინ ყველას არ შეეძლო.

ზრდილი, წესიერი, გამრჯე და მშობლების დამჯერენი იყვნენ შვილები, ასე გადიოდა დრო, მაგრამ ეს საწუთრო ტკბილად ვის გაულევია, უცებ ჩამოწვა შავი ღრუბელი სოფლის თავზე, რუხი ფარაჯა ჩაიცვა ქვეყანამ, შეწყდა სიმღერა, ცეკვა-თამაში. სოფელი ომის ამბებით ცოცხლობდა.

სამი ვაჟი—ესტატე (ბუჯო), მირო და ვანო გააცილა დედ-მამამ ფრონტზე. მეოთხე შოთა კი დაჯავშნილი იყო და ზურგში სამუშაოდ დატოვეს.

სევასტოპოლში იბრძოდა ესტატე, ლიტვის ქალაქ კუანასში იყო მირო, ვანოსი კი არაფერი ისმოდა.

„ვავა ბუჯო, სორექ სქუა ვანო“. დედის გულამოსკვნილმა ამოკვნესამ შეცვალა ერთ დროს მომღერალი ოჯახის შიდა გარემო. პირქუში და მკაცრი გახდა ბესარიონი, არ იმჩნევდა, თორემ განადგურებული იყო კაცი—უნდოდა სიმკაცრით და გაბრაზებით დაეფარა დარდი. გოგონები ლანდებად იქცნენ.

შრომას მიჩვეულ ბუჯოს გაუჭირდა იარაღთან მიჩვევა. იგი ბრძოლაში მოხვედრისთანავე დაიჭრა და ევაკუირებულიქნა მცხეთის ჰოპიტალში. მისი დაჭრის ამბავი გვიან გაიგეს მშობლებმა, ვერ ჩაუსწრეს. ზესტაფონთან ჩაუარეს მატარებლებმა ერთმანეთს. დედ-მამა მცხეთაში მიდიოდა შვილის სანახავად. შვილი კი ისევ ფრონტზე ბრუნდებოდა. იქნებ იგრძნო დედის სათუთმა გულმა შვილის სიახლოვე, სარკმელთან მიმჯდარმა ლანდს უხმო შვილო ბუჯოო.

ფრონტისკენ მიმავალმა ეშელონმა შეუჩერებლივ გაიარა მშობლიური ხობი, სულ რაღაც ასეულ მეტრში მდებარე საყვარელი სოფელი, სახლ-კარი. გული ჩაწყდა ფრონტისკენ მიმავალს, რადგან საშუალება არ ეძლეოდა ეხილა ეს ყველაფერი... დიდი ხანი არ დარჩენია ბუჯოს, ქერჩში ჰპოვა საძმო საფლავი.

1941 წლის 16 ივლისით დათარიღებული წერილი მიიღო ოჯახმა მეორე შვილისგან—მიროსგან. მას მერე იყო მხოლოდ გაუთავებელი ლოდინი დედის, მამის, დებისა.

მესამე ვაჟკაცისგან—ვანოსგან საერთოდ არაფერი ისმოდა. მისგან არც წერილი მიუღია ოჯახს, არც რაიმე შეტყობინება.

1963 წელს ხობის რაიონი მონაწილეობდა მოსკოვში გამართული სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბატონი ალიოშა წურწუმია, დელაგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდა შოთა თუთბერიძე. დელეგაცია კურსკის ვაგზალზე გაჩერდა. 14 წლის შემდეგ შემთხვევით შეხვდნენ მოსკოვში ძმები შოთა და ვანო ერთმანეთს. ომგადახდილი, განატანჯი, ბედისგან ათასჯერ განწირული ვანო ბრუნდებოდა ოჯახში, სადაც იგი გამოტირებული ჰყავდათ.

ვანოს დანახვაზე დადუს ენა ჩაუვარდა. ხმა ვერ ამოიღო. ძლივს გაიღიმა, უკვე ავადმყოფმა ბესარიონმა, მაგრამ მშობლებისთვის მოუშუშებელ ჭრილობად რჩებოდა ორი შვილი—ბუჯო და მირო.

ხშირად გავიდოდა ლანდადქცეული დადუ უკანა კარით ეზოს სიღრმეში, დაჯდებოდა ხის ქვეშ და მეზობლებს ესმოდათ მისი მოთქმა, ოხვრა და გოდება შვილებზე. წლებმა ვერ გაანელეს დაკარგული შვილების დარდი.

...გადის დრო, 9 მაისი, ერთხელ კიდევ დაგვაფიქრებს, რამდენ ოჯახს ექნებოდა ასეთი ტრაგედია ომის შემდეგ საქართველოში.

***მანანა შულაია.***
***2001 წელი გაზეთი „სამეგრელო“***

## მოჭირნახულე

ბევრი საამაყო შვილის აკვანი დარწეულა ჩემს სალოცავ ხორგაში. მის ღირსეულ ადამიანებზე დაუსრულებლად შეიძლება წერო, მაგრამ ამჯერად მინდა მოვეფერო ჩემი ჯიშისა და ჯილაგის ადამიანს, რომელმაც დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე აისხა იარაღი და ბოლომდე იბრძოდა სამშობლოს დასაცავად. კაცი მამულზე უზომოდ შეყვარებული, ახალგაზრდების ქომაგი, მოჭირნახულე, სულით ხორცამდე ქართველი, ტრადიციების მოყვარული დიდი ოჯახის შვილი, სამი საამაყო ქალიშვილის, ხუთი შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის ბაბუა—ბატონი **ბოჩო ბერაია** სიამაყით იგონებს თავის ჩანაწერებში—„ომის პირველი დღეებიდანვე ჩავები მტერთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში. სასტიკ ბრძოლაში ბევრი დაიღუპა, ბევრი დაიჭრა, მათ შორის მეც, ბევრჯერ პირისპირ შევხვდი სიკვდილს, ინვალიდი დავბრუნდი. თითოეული ჩვენთაგანისთვის ძვირფასია სიცოცხლე, მაგრამ იმ შეგნებით ვიბრძოდით, რომ უძვირფასესია სამშობლო, ნურასდროს განმეორებულიყოს ჩვენს ქვეყანაში ისეთი მსხვრევა, ჟლეტა, კაცთაკვლა, როგორიც იყო სამამულო ომში. თუმც სამაჩაბლოში და აფხაზეთში დაღვრილმა სისხლმა წარსული დაგვავიწყა“.—გულისტკივილით ამბობს ბატონი ბოჩო.

თითქოს ძველი ჭრილობები მოშუშდა, მაგრამ დიდია მისი მწუხარება მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის, ვარდო წურწუმიას გარდაცვალების გამო (უფალო, შენ გაუნათე სასუფეველი სულით წმინდა და ფაქიზ ადამიანს, ღირსეულ მეუღლეს, დედას და ბებიას).

დგას ლამაზად ორსართულიანი სახლი. იქიდან გამოსულ ყოველ ადამიანს თავისებური ხიბლი და პეწი აქვს. ამ სტუმართმოყვარე ოჯახს მიმსვლელ-მომსვლელი არასოდეს აკლდა, ასეა დღესაც, რადგან აქ მხოლოდ სიკეთეს და სიყვარულს ეყრება საფუძველი.

***ნაირა ბერაია.***

# თაობა

## „ვაკეთებ საქმეს, რაც ჩემს გონებასა და გულთან ახლოსაა...“









ხობის №1 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მარი ლომაია 16 წლისაა. მისი წარმატების შესახებ სოციალური ქსელიდან შევიტყვეთ. მარი მისი ასაკისთვის საკმაოდ დახვავებული სიგელებითა და დიპლომებით გვესტუმრა რედაქციაში. ის ბაღის ასაკიდან არის მიჩვეული წარმატებებს, რომელსაც დიდი მონდომებითა და შრომით აღწევს.

მარი საოცრად მიზანდასახული, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ლიდერის გამორჩეული თვისებების მქონე ახალგაზრდაა. ის ბავშვობიდანვე იყო ჩართული სხვადასხვა პროექტებში, კონკურსებში. ცდილობს არ ჩამორჩეს, ფეხი აუწყოს ახალ ინოვაციებსა და გამოწვევებს. ჩვენს მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში ჩატარებულ თითქმის ყველა კულტურულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობს. სასიამოვნო გარეგნობის გოგონას ასევე სასიამოვნო დიქცია და მანერები აქვს.

ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ „მოსწავლის განვითარება დაწყებითი საფეხურიდანვე იწყება და მიმაჩნია, რომ ჩემმა პირველმა მასწავლებელმა ქეთინო ხასიამ ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ჩემს წარმა-



ტებაში, რადგან ყოველთვის სტიმულს მაძლევდა და სჯეროდა ჩემი. მშობლიური სკოლის პედაგოგებთან ერთად ჩემი თვითშეფასების ამაღლებაში, აუდიტორიასთან მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და საზოგადოებასთან მუშაობის ტექნიკის დახვეწაში დიდი წვლილი ხობის მუნიციპალიტეტის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის თითოეულ თანამშრომელს მიუძღვის...“

მარი უდიდეს მადლიერებას გამოხატავს მათ მიმართ და იმედოვნებს, რომ მათთან მონაწილეობას კიდევ ბევრ ღონისძიებებსა და პროექტებში მიიღებს.

მარი ლომაიას წარმატებებს ამ საგაზეთო სტატიაში ვერ ჩამოვთვლით, ამიტომაც მას ვთხოვე მოკლედ მოეყოლა განვლილ გზაზე და ბოლოდროინდელ მნიშვნელოვან მიღწევებზე.

—„მიმაჩნია, რომ წარმატების საწინდარი რწმენაა, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის მიმართ გააჩნია. მნიშვნელოვანია აგრეთვე მოტივაცია, რომელსაც ჩემი ოჯახი, მეგობრები მაძლევენ, ჩემს ყველაზე დიდ გულშემატკივრებად კი მამაჩემი და ბაბუაჩემი მიმაჩნია, სწორედ მათი იმედების გასამართლებლად უნდა ვიბრძოლო და ვიშრომო, რათა უფრო და უფრო მეტს მივაღწიო. ასევე მაქვს ჩემი წარმატების ფორმულა—ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ჩემს გონებასთან და გულთან ახლოსაა...

2021 წლის ივნისის თვეში აქტიურად მივიღე მონაწილეობა ორგანიზაციების „ცოდნის მაძიებელნი“ და „მსახურება სამართლიანობისთვის“ ონლაინ კურსებზე. სამ თვეში მათი გუნდის და დიდი ოჯახის წევრიც გავხდი. ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება, საინტერესო აღმოჩენა გახლდათ. ამ საქმეში მაქსიმალურს ვდებდი და მალევე შედეგიც მივიღე. ამჟამად ვარ სამართლის ფირმის მთავარი მენეჯერი, პარალელურად კი „ცოდნის ხელოვნების“ მენეჯერი.

2021 წლის დეკემბერის თვეში, სრულიად შემთხვევით. ტრენინგების ერთ-ერთ ჯგუფში აღმოვაჩინე პოსტი, არაფორმალური განათლების ინსტიტუტის 2021 წლის სამიტის შესახებ და გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა. პირველ ეტაპზე თვითონ ინსტიტუტმა დამაფინანსა, რისთვისაც მადლობას ვუხდი მათ, რადგან მომცეს საოცარი ადამიანების გაცნობის და უდიდესი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა.

პირველი სამიტი სამი დღის განმვლობაში სეუ-ს უნივერსიტეტში მიმდინარეობდა, იმ სამ დღეში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ემოციები მთელი ცხოვრების მანძილზე სასიამოვნო მოგონებად დამრჩება. მესამე დღეს რეზოლუციის წარდგენაზე, სადაც ჩვენს კომიტეტს ევროპარლამენტს უნდა გადაეჭრა, უკვე დახურული „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის“ ფუნქციონირების საფრთხე. მთავარ სპიკერად არჩეული, რათქმა უნდა ვღელავდი. ვცდილობდი წინა წლების გამოცდილება გამომეყენებინა და რაც შეიძლება კარგად წარმედგინა რეზოლუცია. წარდგენის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიაზე კი გამორჩეულ დელეგატად დამასახელეს და ეს შოკი რამდენიმე დღის მანძილზე ვერ განვდევნე. ხელმძღვანელებს საბა სოზაშვილსა და ვიქტორია ბარათაშვილს მადლობა გადავუხადე და მოვისმინე სიტყვები: „შენ ეს გჭირდებოდა. ამიერიდან მეტს შეძლებ!“

მოტივაცია, რომელიც ამ სიტყვებმა მომცეს, ჩემთვის სტიმულატორი გახდა და ბევრად დიდი მონდომებით ჩავერთე საქმიანობაში, რისთვისაც ცხოვრების ბოლომდე მადლიერი ვიქნები პირველ რიგში პროექტის ხელმძღვანელების, შიდა ორგანიზატორის ბარბარე ზვერიაშვილის და შემდეგ GIONFE-ს.

„საქართველოს სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკის ახალგაზრდული სამიტი–2022“ ახალი გამოწვევა და ახალი შემართება... სამიტზე წასასვლელად ხობის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა დავით ბუკიამ დამაფინანსა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მას, ახალგაზრდებში განათლების მიღების პერსპექტივის მხარდაჭერისთვის.

აპრილის თვეში ჩატარებულ სამდღიან სამიტზე „საქართველოს პარლამენტის“ კომიტეტის წევრი ვიყავი, ხოლო კომიტეტის ხელმძღვანელებად საბა სოზაშვილი და გიორგი ჯიქიძე აირჩიეს, ბატონ საბასთან წინა სამიტზე მუშაობის გამოცდილება მქონდა, რამაც მუშაობა გამიადვილა.

ორი დღის მანძილზე კომიტეტმა უამრავ საკითხზე იმსჯელა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით და განვიხილეთ სხვადასხვა გზები, რაც დაგვეხმარებოდა ევროინტეგრაციის დაჩქარებაში. გავაანალიზეთ თუ რა სიკეთისა და საფრთხის მომტანი იქნებოდა ეს ჩვენთვის, რა იყო საჭირო ამ ეტაპამდე უმტკივნეულოდ მისასვლელად. ორი დღის განმავლობაში ჩვენს მიერ შედგენილმა რეზოლუციამ, ინიციატივებმა საბოლოო ჯამში შეძლეს რეზოლუციისა და კომიტეტის, როგორც „საქართველოს პარლამენტის“ სრული ფორმულირება, ჩვენი რეზოლუცია დამტკიცდა. ეს იყო დაუვიწყარი ემოციები, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ ჩვენი შრომა დაფასდა და შევძელით ჩვენი ცოდნის გამოყენება.

კითხვები, ინიციატივები, რეპლიკები თითოეული რეზოლუციის თანმდევია. ექვსი კომიტეტის რეზოლუციამ, ჯამში ცხრა საათს გასტანა და ეს დრო იყო დასტური იმისა, თუ რამდენად ნიჭიერი და ღირსეული თაობა იზრდება ჩვენს ქვეყანაში.

რეზოლუციების დასრულების შემდეგ გამარჯვებულების გამოცხადების ჯერი დადგა, ყველა კომიტეტის ხელმძღვანელი ასახელებდა ერთ გამორჩეულ და ერთ საუკეთესო დელეგატს. ჩვენს კომიტეტს ამ სიის ბოლოში მოუწია ყოფნა. დიდი ლოდინის მერე გამორჩეული დელეგატი დაასახელეს და იყო დიდი ოვაციები, ყველა ულოცავდა მას ამ წარმატებას, მალევე ბატონი საბა ავიდა ტრიბუნაზე და მცირე სიტყვის შემდეგ გადავიდა საუკეთესო დელეგატის გამოცხადებაზე—„ამ დელეგატმა წინა სამიტიდან დღემდე დიდი პროგრესი გვაჩვენა და დიდი ნაბიჯი გადადგა ცხოვრებაში, მინდა წარმოგიდგინოთ „საქართველოს პარლამენტის“ საუკეთესო დელეგატი მარიამ ლომაია“,—კვლავ იყო ოვაციები, რომლებითაც მამხნევებდნენ... გაკვირვებული და ბედნიერი წამოვდექი ფეხზე, ძლივს გავაცნობიერე, რაც ხდებოდა. უზომოდ ბედნიერმა და გახარებულმა ხელმძღვანელებს უდიდესი მადლობა გადავუხადე. კომიტეტში შიდა კენჭისყრის შედეგზე იყო ძირითადად დამოკიდებული საუკეთესო და გამორჩეული დელეგატის სტატუსის მინიჭება, როგორც აღმოჩნდა, დელეგატებმაც მე დამიჭირეს მხარი, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას ვუხდი, მადლობას ვუხდი კომიტეტის შიდა ორგანიზატორს, ქალბატონ ნატალია ბერიანიძეს, რადგან ის მაქსიმალურად მამხნევებდა და ხელს მიწყობდა.

ეს მიღწევა ჩემთვის უდიდესი ნაბიჯი, წარმატებისაკენ მიმავალი მაღალი კიბის კიდევ ერთი გავლილი საფეხურია. ვიმედოვნებ ჩემი და GIONFE-s ურთიერთობა კვლავ გაგრძელდება და ჩვენი მუნიციპალიტეტიდან აღარ ვიქნები ერთადერთი დელეგატი...

წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ვიმედოვნებ, შევძლებ ჩემი ცოდნით და ამ ეტაპზე დაგროვებული გამოცდილებით დავეხმარო სხვებს, ხელი შევუწყო განავითარდნენ, როდესაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ.

ამჟამად აქტიურად ვარ ჩართული არაფორმალური განათლების განვითარების საქმეში საქართველოს მასშტაბით. ორგანიზაცია „მსახურება სამართლიანობისთვის“ პიარმენეჯერი ვარ და ვცდილობთ, მაქსიმალურად მივაწოდო ინფორმაცია სამართლისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით მოქალაქეებს, რადგან მივიჩნევ, რომ ორივე სფერო უმნიშვნელოვანესია დღევანდელ რეალობაში. ამჟამად ფეიჯს ჰყავს 37000-ზე მეტი მიმდევარი და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. პარალელურად ვარ „ცოდნის ხელოვნებას“ მენეჯერი, სადაც სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით ვატარებთ ტრენინგებს, ამავდროულად მეც ვატარებ ტრენინგებს ისტორიასთან დაკავშირებით.

ასევე აქტიურად ვარ ჩართული რაიონის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებში და ვცდილობ ყველა მათგანში ჩემი წვლილი შევიტანო“.—ამბობს მარი ლომაია.

მადლობა მარი გულახდილი საუბრისთვის. არასოდეს გაგნელებოდეს წარმატების მიღწევის გამო მიღებული ემოციები. უფალი გფარავდეს მუდამჟამს.

**ჯულიეტა ლატარია.**

ხსოვნის საღამო

# წლები მღელვარე




როგორ ხარ ნაი?.. აღარ მახსოვს როდის შემეხმიანე, ემოციით, მაგრამ ხალისიანი ხმის დამახასიათებელი ტემბრით, ნინ!...

ჰო, წლები მღელვარე...

სამწუხაროდ არ ხარ!.. მინდა თუ არ მინდა, უნდა დავიჯერო ეს სიმართლე. მოგეფერო შორს მარადისობაში, შენი ბობოქარი სულით ღმერთთან, ანგელოზებთან მყოფს.

არ მახსოვს მშობელი დედის შემდეგ ასეთი გულდაწყვეტა, (თუმცა ბევრი ახლობელი და მეგობარი დავკარგე გულდასაწყვეტი, მაგრამ შენ რაღაც განსაკუთრებული და რაღაც კიდევ სხვა იყავ, რომელიც უსახელოდ დაფარფატებს ყოველ წუთს ჩემს თვალწინ. არასოდეს გამხსნიხარ შენს ულმობელ სენზე და მოახლოებულ სიკვდილზე, არასოდეს გვისაუბრია. მხოლოდ ერთხელ თბილისიდან ჩამოსულმა, დამირეკე და მითხარი: გოგო, ნაი, რა უცებ გადის დრო, რაღაც მჭირს...

მე კი ვიცოდი, მაგრამ... გიპასუხე, გავიდოდა აბა რა, ვის დაუცდიდა, ყველასთვის ასე გადის დრო, მარტო ჩვენთან კი არა მეთქი. ეს იყო და ეს, ამ დროს თვალები ცრემლით მქონდა სავსე, რომელმაც შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ, გულიან-სულიანად, იდინა.

იბრძოლე, ბოლო წუთამდე იბრძოლე, სიცოცხლე გიყვარდა. უამრავი აუხდენელი ოცნება დაგრჩა, მაგრამ ბევრი ლამაზი სურვილიც აგიხდა... საღამოები, მეგობრებთან შეხვედრები, წიგნის პრეზენტაციები, ემოციები...

ხშირად ვავლებ თვალს გავლილ წლებს და ლამაზი კინოკადრებივით ამოტივტივდება ხოლმე, უამრავი ღირსახსოვარი დღე, თვე, წელი. არ შემიძლია ტკბილად არ მოვიგონო ჩვენი გაცნობა ნინ, რედაქციაში...

სამყაროში ყველაფერი მოძრაობს და ცვალებადობს... ეს ბუნების უნიკალური წესია...

12 მაისი შენი დაბადების დღეა, 2 მაისი გარდაცვალების...

ასე ხდება ამქვეყნად! ვერავინ ჩაწვდომია უფლის საოცრებებს და არც მე ვეძებ განსაკუთრებულს. დაბადება და გარდაცვალება ერთ თვეში რჩეულთა ხვედრია ალბათ.

2022 წლის 11 მაისი, დღე, რომელიც შენ მოგეძღვნა, ნინ. საზოგადოება „ხობელის“ დარბაზში ჩვენს თვალწინ გაიელვე, გაიღიმე, გაგვიღიმეს. რამდენს ცრემლი და ნაღველი მოჰგვარე, რასაც ვერც გაზეთი დაიტევს და ენაც უძლური იქნება. ასე მგონია, ყოველ ჩანაწერში ცრემლებია ჩაყოლებული.

აბა ჩემო მშვენიერო, ნიჭიერო ნინო, გააგრძელე შენეული სიკაშკაშე... თბილი და მსუბუქია მიწა, სადაც შენ წევხარ, ხოლო წასული შენდამი პატივისცემის, უდიდესი ჩვენგან დაღვრილი ცრემლი კი გულწრფელი.

მშვიდობით, მეგობარო!

ჰოდა, ისევ მაისია, სწორედ მაისში მოსულმა მაისშივე გაიხურე უკანასკნელად სახლის კარი და დაგვემშვიდობე.

**ნაირა ბერაია**

## ხობში...

მაისს დავეძებ დეკემბრის ქუჩებში,
ათოვს ვარდების ნასახლარ მიწას,
სიცივე ისე მაშინებს ზოგჯერ,
სამარის საწოლს მაგონებს იმ წამს.
მიაქვს საათის ისრები ქარებს,
ციფრები ხიდან ჩამომაქვს ძველი,
ცრემლებად ქცეული თოვლისფიფქები,
მძივად ავკინძე წვეთები სველი.
დავდივარ ჩუმად, წლებზე ნაწყენი,
ხობის წყლის ფსკერზე მოჩანს ლექსები,
მეთევზის გაშლილ ბადეს მაგონებს,
წყალს ჩაყოფილი ჩემი ხელები.
დეკემბრის სიცივემ მაისი მოკლა,
ჩემს ნასახლარზე ვტოვებ ამ წერილს,
ფოთლებდაცვენილ ქუჩებს ვუკითხავ-
კვლავ გაზაფხულზე ლექსებს
დაწერილს.
ხიდზე ნაბიჯებს ცრემლებს გავატან,
მთავრდება რაღაც და სხვა იწყება,
ჩემი დასასრული არის მაისი
და სიყვარულის არდავიწყება.

## მომენატრა

ნაკვერჩხალზე კეცი პირქვე დამხობილა,
გარეთ ივლისს დაათენდა ცისკარი,
ვაშლის ხეზე შემომსხდარმა
ვარსკვლავებმა.
სოფლის ღამის გულს ესროლეს ისარი.
ჯარგვლის ცეცხლის კვამლით ეზო
დაფარულა,
ბუნდოვნად ჩანს შორით სახლის
ჭიშკარი,
ბებოს მოაქვს ტაბაკებთან, კეცის ცხელი
ნაჯაფ ხელით გამომცხვარი ჭვიშტარი.
სოფლის გულში ამოსულა დილით მზე და
მუზა მოჩქეფს მთით ჩანჩქერად მდინარი,
ზაფხულს ღაწვზე დაეწვეთა ნამის თვალი,
სახეს შესცქერს მორცხვი, ნამი მცინარი.
კვლავ იმედი ნაკვერჩხალზე ცხვება
ხვალის,
ღამეს უღებს ჩასახტომად ჭის კარი,
მომენატრა ეს სიზმარი წარსულიდან...
გამომცხვარი ბებოს ცხელი ჭვიშტარი.

## ჩემს დებს-ნანას და მანანას

თქვენი ოთახის ფანჯრიდან გხედავთ
სკოლიდან მოსულ ჩანთით გოგონებს,
არტახებიდან აწყვეტილ წლების
ღიმილის შუქი იმ დროს მაგონებს...
რამდენჯერ „ნანა“ გულთან მიმთბარი,
მზესთან, მთვარესთან დამირწევია,
თქვენი ახალი ბუდის სახურავს
ბედნიერების ღმერთი წვევია..
მიყვარხართ, გნატრობთ.. ვიხსენებ ახლა,
დედასთან ერთად ვზივარ წარსულთან,
ყოველი წუთი თქვენი ბავშვობის
დედის ლოცვასთან ღმერთთან ასულა...
ოთახში დარჩა სურნელი აკვნის
ირგვლივ მზისფერი სითბოს ფერია,
ღმერთო, დალოცე ჩემი დები და,
ღმერთო, დალოცე მათი კერია...

## იქნებ

როცა დავიბადე შენი მელოდია
გულზე დამეკონა თილისმად,
თეთრი ღამე იყო, ბედის მოსასხამი
ლექსის გზად დამიგო თბილისმა.
მერე უცებ სიყვარულის მზე გაბრწყინდა,
მე კვლავ მონატრება მტკიოდა,
შორით ჩამესმოდა ჩემი გიტარის ხმა,
ცრემლი ძველებურად მსდიოდა.
მარტის ყვავილებთან ზამთარს ვუმღეროდი,
ახლა გაზაფხულის გწვავს თვალები.
ვატყობ უჩემობა აღარ შეგაცივებს
აღარც ცეცხლის დაგწვავს ალები.
მე შენს გაჩენამდე ლექსებს სულ გიწერდი,
მერე, შენც ხარობდი გაჩენით,
რისთვის გააჩუმე ჩემთვის ეგ გიტარა,
ბედის კარებთან რად გაჩერდი.
იქნებ, ავიშენოთ ხეზე ჩიტთან ბუდე
ცამდე ხელგაწვდილან ტოტები.
როცა მთვარე გიშობს ღამის თუთარჩელას,
თბილისს მიმოვფანტოთ ნოტები.

## გიწერდი ლექსებს...

რამდენს გეძახდი ლექსით ფურცლიდან.
შენს გარდა ან ვის გაუგონია,
მოგონებების ლანდები დამსდევს,
მე სხვა წარსული არც კი მქონია.
გნატრობ ჭადრის ხე ისევ ხმიანობს
ბევრჯერ შეხვედრის მოწმეა ჩვენი
მიწაზე გართხმულ ფესვების ჩონჩხზე
ვსხდებოდით ახლაც ის ფესვი შვენის...
მიყვარდი ძლიერ, ბედნიერ წუთთან
დღეს ვათენებდი შეხვედრის რწმენით
სკოლის ზარის ხმა მიხმობდა კლასში,
და გაკვეთილზე ვასწრებდი რბენით.
რამდენს გიწერდი ოცნებებს ლექსად
არ ვიცი ახლა ეს გული რას მთხოვს
ვბრუნდები, ვბრუნდები გაპარულ
დროსთან,
და სხვა წარსული მე არც კი მახსოვს.

## სქანი გოლუაფირო

ირ ოჭმარეს ჩხანათ რხვამა,
დაჩხირი მონტუ ოგურეს,
თე ყოროფა ვენდამიღა,
მოკო ჭვილო დობღური.
ღორონს ფრთხული ირო პუნდე,
გურსი მოხუტოლუდე,
„დიდოუ ნანა“ მიბირე დო
შური გომიტიბუე...
სქან მასქვამა სამარგალო,
შხვადო სოდე რენია,
ვარდა ფაცხაშ ნაპარტყალა,
ჩხე ღუმუ დო ლებია.
დღას თოლეფი ვამოძირა
ხუჭილ გოლუაფირო,
ვამომწყინდუ სქანი ჯინა,
სქანი გოლუაფირო
ჩქიმ თოლიგე ცხენით მურსი,
სერს ქოდუჭყუ ყოთამა,
ღორონთქ, მალას ქომოძირი
ჩქიმ ბოში დო გოთანა.

## სამადლობელი

საყვარელი ადამიანის გარდაცვალება ყოველთვის დიდი მწუხარება და აუტანელი ტკივილია. არ არსებობს სიტყვები, რომელიც ჩემი სულის ნაღველსა და სევდას გამოხატავს.

წლებმა დარდი ოდნავადაც ვერ შეამსუბუქა, პირიქით, მონატრება უფრო და უფრო გაუსაძლისი გახადა. წელს მეოთხედ, უშენოდ მოვიდა 12 მაისი–შენი დაბადების დღე, უფერული და უღიმღამო გახდა ეს დღე ჩემთვის და მანანასთვის.

გაზაფხულზე დაბადებული გაზაფხულივით მშვენიერი იყავი, ყოველთვის გამოირჩეოდი სილამაზით, ნიჭიერებით, გულწრფელობით, ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით... ამიტომ დღემდე არავის ავიწყდები. ნინო, შენი მეგობრები ამა თუ იმ საქმით ყოველთვის ცდილობენ შენი სახელის „გაცოცხლებას“ და უკვდავყოფას. თურმე როგორ ყვარებიხართ.

სწორედ ამის დასტური იყო ლამაზი საღამო, რომელიც საზოგადოება „ხობელმა“ შენი სახელის უკვდავსაყოფად დაბადების დღეზე მოაწყო. უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი, შენი უახლოესი მეგობრები, შენი პოეზიის გულშემატკივრები... გიხსენებდნენ სითბოთი და სიყვარულით, წაიკითხეს შენი ლექსები და საღამო ძალიან ემოციური და ცრემლნარევი გამოვიდა.

მადლობა საზოგადოება „ხობელის“ დამფუძნებლებს, მის წევრებს, მადლობა ღონისძიებაზე მოსულ ადამიანებს ნინოს დაფასების, მოფერების და არდავიწყებისთვის!

**ნანა კემულარია**

არტერიული ჰიპერტენზია მსოფლიო მასშტაბის პრობლემაა, სწორედ ამიტომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ყოველი წლის მაისის თვე მიჩნეულია არტერიული წნევის გაზომვების თვედ. მიზანი არის სამედიცინო პერსონალის მიერ ჩატარდეს, რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის არტერიული წნევის გაზომვა და გამოვლინდეს ახალი შემთხვევები, ასევე ამაღლდეს მოსახლეობის ცნობიერება და ინფორმირებულობა.

ხშირად ადამიანი ისე ატარებს მაღალ წნევას, რომ არც კი იცის ამის შესახებ, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს რაიმე მცირე სიმპტომების არსებობისას განსაზღვრული პერიოდულობით გავიზომოთ წნევა, მიუხედავად ამისა, გვაწუხებს ის თუ არა.

არტერიული ჰიპერტენზია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობარულ პრობლემას წარმოადგენს. ხშირად ეს კლინიკური მდგომარეობა უსიპტმოდ მიმდინარეობს, ბევრმა არ იცის საკუთარი წნევის ციფრების შესახებ და ასევე არ იცის, რომ ვინც არ აკონტროლებს მას, შეიძლება დაემართოს თავის ტვინის ინსულტი, გულის კუნთის ინფარქტი, თირკმლის ქრონიკული დაავადება და შეიძლება უეცარი სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

პროექტი „მაისი გაზომვების თვე“ არის გლობალური ინიციატივა სკრინინგის მიმათულებით. მასში მონაწილეობას მიიღებს 100-ზე მეტი ქვეყანა დაგეგმილია რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის ჩართვა სკრინინგულ გასინჯვაში. აღნიშნულ ღონისძიებებს აქტიურად უერთდება საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოება, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მიმართავს ხობის მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულებას, ჯანდაცვის პირველად რგოლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ არტერიული ჰიპერტენზიის სკრინინგულ გასინჯვაში თავიანთი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით. ჯანდაცვის ცენტრი თავის მხრივ მაისის თვის განმავლობაში კოორდინაციას გაუწევს მუნიციპალიტეტის მასშტაბით შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

არტერიული ჰიპერტენზიის პროფილაქტიკისთვის ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ ძირითად მიმართულებაზე, წნევის კონტროლი, გულსისხლძრღვთა დაავადების რისკის გაცნობიერება, დროული გამოვლენა და დროული მკურნალობა ექიმის დანიშნულებით და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდაზე, მოსახლეობას უნდა მივცეთ რჩევები და რეკომენდაციები ჰიპერტენზიის მართვის და მისგან გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების შესახებ.

ჰიპერტენზია მეტად საყურადღებო და საშიში პათოლოგიაა. ეს არის ქრონიკული მდგომარეობა, რომლის დროსაც სისხლის წნევა იმატებს 150/90-ზე ზემოთ და ეს ითვლება მაღალ წნევად ანუ არტერიულ ჰიპერტენზიად. მსოფლიოში ხუთიდან ორ ზრდასრულ ადამაინს მაღალი წნევა აქვს, ჰიპერტენზიით ყოველწიურად ავადდება 1,5 მილიარდზე მეტი ადამიანი, ხოლო 8-9 მილიონი კვდება.

საქართველოშიც ამ მხრიც არის საყურადღებო მდგომარეობა, ჩვენთან ყოველი 10 გარდაცვლილი ადამიანიდან ხუთის სიკვდილის მიზეზი ჰიპერტენზიას უკავშირდება.

# მაისი–არტერიული წნევის გაზომვების თვე

გარდა მაღალი წნევისა, ინსულტის და ინფარქტის განვითარებას ხელს უწყობს არაჯანსაღი კვება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, ჭარბი წონა, სისხლში ქოლესტერინისა და შაქრის მაღალი დონე, თამბაქოს მოწევა და სხვა.

რატომ უნდა ვაკონტროლოთ ჩვენი არტერიული წნევა?

წნევის ციფრების ცოდნა ჰიპერტენზიის ადრეულად გამოვლენაში გვეხმარება. მაღალი წნევის დასადგენად ერთადერთი გზა წნევის გაზომვაა. წნევის გასაზომად საჭიროა სათანადო წესების მკაცრი დაცვა და შემოწმებული წნევის აპარატი. თუ თქვენი წნევის ციფრები არ იცით, მიმართეთ ექიმს ან ექთანს წნევის სწორად გაზომვისთვის. თუ მაღალი წნევა აღმოგაჩნდათ, ძალიან მნიშვნელოვანია, წნევა შინაც რეგულარულად გაიზომოთ დღის ერთსა და იგივე მონაკვეთში.



შესაძლებელია თუ არა არტერიული ჰიპერტენზიის თავიდან აცილება?

თავიდან აცილებაც შესაძლებელია და მკურნალობაც ეფექტურია. იმისთვის, რომ მაღალი წნევა თავიდან ავიცილოთ, მიიღეთ ნაკლები მარილი, ერიდეთ მარილიან საკვებს, მიირთვით მეტი ხილი და ბოსტნეული. ერიდეთ ტკბილეულს, ცომეულსა და ცხოველურ ცხიმებს. მეტი იმოძრავეთ და ივარჯიშეთ რეგულარულად, დაანაბეთ თავი თამბაქოს მოწევას, ერიდეთ მის კვამლს.

წნევის კონტროლი გულისხმობს მისი მაჩვენებლების 140/90-ზე დაბალი დონის შენარჩუნებას და სხვა რისკ-ფაქტორების შემცირებას, დაიმახსოვრეთ, მედიკამენტების მიღება დიდხანსაა საჭირო, ხშირად მთელი სიცოცხლის განმავლობაშიც კი.

თუ უკვე დასმული გაქვთ არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზი, მედიკამენტებით მკურნალობა უნდა ჩაიტაროთ რეგულარულად და ხანგრძლივად. მკურნალობის შეწყვეტა თვითნებურად, თუნდაც წნევის ნორმალური მაჩენებლების დროს, არ შეიძლება.

არტერიული ჰიპერტენზიის პრევენციისთვის სხვა ღონისძიებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკას და დროულ კვალიფიციურ მკურნალობას.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

## სულთათანა

# ნანა ჩარკინა



„ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება...“ ამ ბინდისფერი სოფლის ბილიკებზე ბევრი ლამაზი და ბედნიერი დღე ჰქონდა ნანა მასწავლებელს და მისი თითოეული ლამაზი და ბედნიერი დღე დაკავშირებული იყო სკოლასთან, მოსწავლეებთან, მეგობრებთან...

როგორც ამბობენ, მასწავლებლად უნდა დაიბადო, მასწავლებელი ვერ გახდები, სწორედ მოსწავლეებისა და პროფესიის სიყვარული აბედნიერებდა, უყვარდა თავისი საქმე უზომოდ, გულით საოცარ სითბოსა და სიყვარულს დაატარებდა, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, რჩევის მომცემი, სხვისი ტკივილის გამზიარებელი, გულისხმიერი, მუდამ მოწესრიგებული და მოფუსფუსე...

ძალიან გაუჭირდა სკოლის გარეშე, ეტკივილა საყვარელი საქმის მიტოვება, სკოლიდან წასვლის დღეს სკოლის ყველა კედელი დაკოცნა და ისე დაემშვიდობა... ჩვენ აცრემლებული თვალებით გავაცილეთ... მუდამ ჩვენთან იყო თავისი ფიქრებით, შორიდან გვეფერებოდა და გვამხნევებდა...

წავიდა. ტკივილი და სიცარიელე დაგვიტოვა...

წუთისოფლის წუთისოფლობას განა ვინ გადაურჩება?!

„მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვყრის იარაღს; ჩვენ რას წავიღებთ ამ სოფლით, სხვას არა წაუღია რა“.

ნანა მასწავლებელმა ბევრი რამ წაიღო ამქვეყნიდან–დიდი სიყვარული და სითბო მის მიერ აღზრდილი თაობებისა. განა ეს ცოტაა?!

გვიყვარხარ, ნანა მასწავლებელო, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი...

***ნანა ქვარაია.***

# ნანი სალაყაია



რატომ მიყვარს მაისი... ეს თვე განსაკუთრებული არაა იმიტომ, რომ მას ვარდობისთვე ჰქვია. ის მთელი სულით და გულით მაკავშირებს უახლოეს ადამიანთან–ბავშვობის მეგობართან, რომელიც ატმისა და ნუშის ყვავილობისას ფერადად მოევლინა სამყაროს.

საოცრად სწრაფმავალია დრო.
თვალწინ ჩაიარა და გაიარა
ყველაფერმა.
ყაყაჩოს ველი ისევ გიზგიზებს.
ისევ შრიალებს ვერხვის ფოთლები.
წარსულზე ფიქრი ისევ იღვიძებს,
ვით ნამთვრალები სოფლის ლოთები.
ტირის ტირიფი და მის თვალებზე
უმანკოების ცრემლი კიაფობს...
ცხოვრება, თითქმის გაუსაძლისი,
ხანაც ძვირობს და ხანაც იაფობს.
წუთები, წამები, მოგონებები...
რა ვქნა თუ მაინც მიყვარს მაისი...

ისღა დამრჩენია, ცრემლები გაპკურო. ხან გაზეთის ფურცლებზე, ხან კიდევ ლექსით გამოვხატო ჩუმი ტკივილი. ხოლო „როცა სიკვდილი მეც ამყრის ბორკილებს, ერთ დღესაც მხოლოდ ღვთისაგან ცნობილ, ღვთისაგან დადგენილ დღეს, ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს...“

***ნაირა ბერაია.***

ხობის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, გამორჩეული პიროვნების და ღირსეული ხობელის

**კაპიტონ ცხადაიას**

გარდაცვალების გამო და ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს.

# ტკივილი



ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ქვალონში მცხოვრებ შანიძეების ოჯახის ტრაგედია დიდი ტკივილითა და მწუხარებით გაითავისა საქართველომ. თბილისში მხუთავი აირით გარდაიცვალა ირაკლი შანიძის 5 სულიანი ოჯახი... ირაკლი შანიძე და მეუღლე რუსუდან ზაალიშვილი 33-33 წლის, შვილები: მარიანა–4 წლის, დარეჯანი 5 წლის, დავით ზაალიშვილი 13 წლის.

ერთი ქართული ოჯახი აღარ არის, არ არიან თვალხატულა ბავშვები. ქვალონში ირაკლის მამის და ძმის სახლ-კარი თითქოს დადუმებულა. ეზოში არ ისმის პატარების ჩვეული ჟრიამული.

სტკივათ მათ თანასოფლელებს, ნათესავებს, ახლობლებს...

„ირაკლი, რომელიც გამორჩეულად მიყვარდა, ერთად გავიზარდეთ... უდედოდ გაზრდილი... კეთილი და მხიარული იყავი ყოველთვის... დაგვტოვე და გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე ძამიკო... ჩვენი ბავშვობის მოგონებები ძალიან ცოტა იყო და მომავალი ხომ წინ გვქონდა... შენს ლამაზ ცოლ-შვილებთან ერთად მშვიდად განისვენე“,–წერს მათზე ოჯახის ახლობელი თეა სიჭინავა.

უფალმა ნათელში ამყოფოს მათი უმანკო სულები.

# სამშობლოს მსახურებას უკვალოდ არ ჩაუვლია

თამამად შეიძლება ითქვას, რაც დრო გადის საზოგადოება „ხობელი“ უფრო და უფრო ამართლებს დაარსების აუცილებლობას...

ამასწინათ, აღდგომის დამდეგს, დიდ ხუთშაბათს, საზოგადოება „ხობელის“ ინიციატივით ჩატარდა ხსოვნის საღამო, რომელიც მიეძღვნა ხობის ინტელიგენციის გასული საუკუნიდან დღემდე ჩვენგან შესრულებული „მრავალჟამიერი“ (მადლობა მათ). ალბათ, ყველასთვის სასიამოვნო იყო მხცოვან ადამიანთა მოგონებები. დარბაზში მყოფ ადამიანებში (როგორც მათ აღნიშნეს) გაჩნდა იმედი, რომ მათ შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, წუთისოფლის ორომტრიალი მათ სახელებს ვერაფერს დააკლებს და როგორც ხუმრობით ბრძანეს, „მიტოვებულთა ბანაკ-





წასულ ადამიანთა პატივისცემასა და არდავიწყებას. იმათ, ვინც დიდი წილი დაიდეს ხობის აღმშენებლობაში და ვისი სახელ-გვარებმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ოფისის კედლებზე განთავსებულ მემორიალურ დაფაზე.

დარბაზი საღამოს დამსწრეთა მსურველს ვერ იტევდა... აქ მოწვეული იყვნენ სულმნათ სახელოვან ადამიანთა შთამომავლები, მათ თვალებში სიამაყის ცრემლი კიაფობდა...

დარბაზში მსხდომნი ამ ქვეყნიდან წასულთა უკვდავსაყოფად სითბოს არ იშურებდნენ...

ხობის სამების ტაძრის დეკანოზმა, მამა კირიონმა ამ ქვეყნიდან წასულთა მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

სანთლების ციმციმში ისმოდა ანსამბლ „კოლხეთის“ მიერ შესრულებული... [cont.] ში“ არასოდეს მოხვდებიან.

ვუსმენდი თითოეულ მათგანს და გულში სითბოდ ილვრებოდა იმ ადამიანების ხსოვნა, რომელიც აქ დარჩენილთა გულებიდან მოდიოდა...

შვილებმა მოიგონეს „მამები“... ეს იყო ხსოვნის საღამო, რომელმაც გულისგულში გაიარა. გაგვათბო და დაგვიტოვა იმედი იმისა, რომ სიკეთე და სამშობლოს მსახურება უკვალოდ არ ჩაივლის...

ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ამ ოფისს მონატრების, სიყვარულის და მომავლის იმედის ოთახს დავარქმევდი, რადგან აქ ყველა შეხვედრა, ყველა ღონისძიება სიყვარულით კეთდება.

...აღდგომის დღესასწაულზე ასეთმა შეხვედრამ ულამაზესი ემოცია დატოვა.

***მერი ლაგვილავა.***

მილოცვა

# ელისაბედ (ელისა) დგებუაძეს



ელისაბედ (ელისა), თვალმზიანო და გულთაფლიანო გოგო, ლამაზო და ჭკვიანო, დადგა შენი დაბადების დღე, წელს მაისმა ვერ ივარდისფრა, შენთვისაც ტკივილიანი იყო, ალბათ, წლევანდელი 9 მაისი...

შენი დედულეთი–ბებია-ბაბუას თამილა გვასალიას და ენვერ სალაყაიას ხობელი მეგობრები დიდი სიყვარულით გილოცავთ შენს დღეს.

იბედნიერე, იხარე და იდღეგრძელე. წარმატებები, ულევი სიხარული, ჯანის სიმრთელე იყოს შენი ცხოვრების მეგზური პატარა იოანასთან ერთად. გვიყვარხარ, გეფერებით.

**26 მაისის აღსანიშნავად, ქალაქ ხობში, მთელი დღის განმავლობაში, გაიმართება საზეიმო და შემეცნებითი ღონისძიებები:**

## პ რ ო გ რ ა მ ა

* ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.
* ისტორიული ძეგლების/ექსპონატების ფოტო-გამოფენა.
* 14:00 სთ. ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას საჯარო ლექცია–„საქართველო და ევროპა“.
* ევროპის კუთხე-ზემო სვანეთის რეგიონში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი.
* საბავშვო გასართობი ღონისძიება: ზღაპრის გმირები, ასფალტზე ხატვა, ბავშვთა ნახატების გამოფენა.
* წიგნადი ფონდის გამოფენა და მხატვრული კითხვა.
* 14:30 სთ. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია–კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.
* ყვავილების და ადგილობრივი წარმოების პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.
* სპორტული აქტივობები: ჭადრაკი, ნარდი, მაგიდის ჩოგბურთი, ქუჩის კალათბურთი.
* წარმატებული სპორტსმენების ჯილდოების გამოფენა.
* 15:45 სთ. ხობის ცენტრალური სტადიონი–დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი მუნიციპალიტეტის საფეხბურთო პირველობის ფინალი.
* 17 საათისა და 10 წუთის საზეიმო აღნიშვნა–შესრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი–ანსამბლი „კოლხეთი“ და სამუსიკო სკოლის გოგონათა გუნდი.
* 19:00 სთ. კონცერტი–„თბილისური კვარტეტის“ მონაწილეობით.
* ფეიერვერკი.

ერთად აღვნიშნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!



ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, კობა კობახიძე, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია, ნაირა ბერაია, ჯულიეტა ლატარია (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 599-50-40-57; 577 60-22-21.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.